

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის

ბრძანება №79
2017 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

თავშესაფრის პროცედურა

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. დამტკიცდეს „თავშესაფრის პროცედურა“ დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნის ქცევის წესები“ დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს „კონსულტაციის ჩატარების ოქმის ფორმა“ დანართი №3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ფორმა“ დანართი №4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს „ანკეტირების პროცედურაზე გამოცხადების თაობაზე თავშესაფრის მამიებლისათვის შეტყობინების ფორმა“ დანართი №5-ის და „ანკეტირების პროცედურაზე გამოცხადების თაობაზე თავშესაფრის მამიებლის მეურვის/მზრუნველის/ მხარდამჭერისათვის შეტყობინების ფორმა“ დანართი №6-ის შესაბამისად.
6. დამტკიცდეს „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის თაობაზე განცხადების ფორმა“ დანართი №7-ის შესაბამისად.
7. დამტკიცდეს „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის სამართლებრივი შედეგების თაობაზე ოქმის ფორმა“ დანართი №8-ის შესაბამისად.
8. დამტკიცდეს „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის შემდეგ, საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნის თაობაზე განცხადების ფორმა“ დანართი №9-ის შესაბამისად.
9. დამტკიცდეს „თავშესაფრის მამიებლის ანკეტის ფორმა“ დანართი №10-ის და „თავშესაფრის მამიებლის ოჯახის წევრის ანკეტა“ დანართი №11-ის შესაბამისად.
10. დამტკიცდეს „საკონტროლო სია ანკეტირებისთვის“ დანართი №12-ის შესაბამისად.
11. დამტკიცდეს „საკონტროლოს სია გასაუბრებისათვის“ დანართი №13-ის შესაბამისად.

12. დამტკიცდეს „სტატუსის დადგენის გასაუბრების ოქმის ფორმა“ დანართი №14-ის შესაბამისად.

13. დამტკიცდეს „წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები“ დანართი №15-ის შესაბამისად.

14. დამტკიცდეს „საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების ფორმა“ დანართი №16-ის შესაბამისად.

15. დამტკიცდეს „ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადების ფორმა“ დანართი №17-ის, „ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის თაობაზე“ განცხადების ფორმა“ დანართი №18-ისა და „დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადების ფორმა“ დანართი №19-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 16 აგვისტოს №100 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ძალაშია 2017 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა მინისტრი

სოზარ სუბარი

თავშესაფრის პროცედურა

თავშესაფრის პროცედურა განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებლის მიღების, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციისა და განხილვის, ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, გაუქმებისა და ჩამორთმევის წესს.

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

თავშესაფრის პროცედურის მიზანს წარმოადგენს თავშესაფრის სფეროში ერთიანი სტანდარტების დამკვიდრება, სამართლიანი, სრულყოფილი, ეფექტიანი და თანმიმდევრული თავშესაფრის პროცედურის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ პროცედურის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დეპარტამენტი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიგრაციის, რეპატრაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი;

ბ) სამმართველო – დეპარტამენტის თავშესაფრის საკითხთა სამმართველო;

გ) სტატუსის დადგენის განყოფილება – სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) სტატუსის დამდგენი სპეციალისტი – სტატუსის დადგენის განყოფილების თანამშრომელი, რომელიც ადგენს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ პროცედურის შესაბამისად, თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარულ სტატუსის მინიჭების ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საჭიროებას.

ე) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება – სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ვ) მისაღები სივრცე – სამმართველოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრისათვის – განყოფილებისათვის სამინისტროს შენობაში სპეციალურად გამოყოფილი ადგილი, რომელიც განკუთვნილია თავშესაფრის პროცედურის განხორციელებისთვის და შედგება საკონსულტაციო, სარეგისტრაციო, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილი ოთახებისგან და მოსაცდელი არესგან.

ზ) პირადი საქმე – თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიმართ თავშესაფრის პროცედურასთან ან ამ პირთან დაკავშირებით არსებული ყველა დოკუმენტის ან/და მასალის ერთობლიობა;

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ტერმინთაგან განსხვავებით, ამ ბრძანებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 3. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა თავშესაფრის პროცედურაში

1. თავშესაფრის მამიებელთა ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ ინფორმაცია, ისევე, როგორც მისი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესახებ მონაცემები და ინფორმაცია, არის კონფიდენციალური და არ შეიძლება მათი რაიმე ფორმით გამჟღავნება სხვა ორგანიზაციებისთვის, მასმედიისთვის, წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებისა და მოქალაქეებისთვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, თავშესაფრის მამიებელთა ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირი, თარჯიმანი, ასევე თავშესაფრის მამიებლის კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი ვალდებულია დაიცვას პირის თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

3. თავშესაფრის მამიებელს და საერთაშორისო დაცვის მქონე პირს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის მიერ კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებით.

4. თავშესაფრის მამიებლებსა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესახებ ინფორმაციის გადაცემა შესაძლებელია სახელმწიფო უწყებებისათვის ტერორიზმთან ან ექსტრადაციის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის თაობაზე.

5. თავშესაფრის მამიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია გაცემულ იქნეს მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. თავშესაფრის მამიებლის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის კანონიერ წარმომადგენელს, შესაბამისი უფლებამოსილების და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, უნდა გააჩნდეს წვდომა ამ პირის თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, გარდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.

მუხლი 4. თავშესაფრის პროცედურაში პირადი საქმის წარმოება

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა მიიღოს ყველა ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომა, რათა თავშესაფრის მამიებლის პირადი საქმე იძლეოდეს საქმის წარმოების ისტორიის, მდგომარეობის და თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებული სხვა ქმედებების სწრაფად და ზუსტად განხორციელების შესაძლებლობას.

2. თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში მოპოვებული დოკუმენტაცია (გარდა პასპორტისა) უნდა განთავსდეს პირად საქმეში და აკინძული უნდა იქნეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მათი შედგენის თარიღის შესაბამისად. პირადი საქმის ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი.

3. პირადი საქმე იხსნება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების სამინისტროში რეგისტრაციის დღიდან.

4. თავშესაფრის მამიებლის ოჯახის წევრების დოკუმენტაცია რეგისტრირდება და ინახება თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეში. თავშესაფრის მამიებლის ოჯახის წევრის მიმართ დამოუკიდებელი თავშესაფრის პროცედურის დაწყების შემთხვევაში, იხსნება დამოუკიდებელი პირადი საქმე. თავშესაფრის პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელია თავშესაფრის მამიებლის ოჯახის წევრის მიმართ პირადი საქმის გამოყოფა დამოუკიდებლად, თუ ასეთი აუცილებლობა წარმოიშობა საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით და ეს ხელს შეუწყობს საქმის ეფექტიან განხილვას.

5. პირადი საქმე უნდა შეიცავდეს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ასლებს და თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას, მათ შორის წარმოებული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.

6. პირადი საქმე მოიცავს შემდეგი სახის დოკუმენტაციას:

ა) თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადება;

ბ) თავშესაფრის მაძიებლისა და მისი ოჯახის წევრების ფოტოები (ზომით 3X4);

გ) თავშესაფრის მაძიებლისა და მისი ოჯახის წევრების ყველა სახის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის და საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები ქართული თარგმანით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) თავშესაფრის მაძიებელსა და მის სრულწლოვან ოჯახის წევრებთან ჩატარებული ანკეტირების მასალები, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ხელმოწერებით;

ე) თავშესაფრის მაძიებელსა და მის სრულწლოვან ოჯახის წევრებთან ჩატარებული, გასაუბრების მასალები, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ხელმოწერებით;

ვ) თავშესაფრის მაძიებელსა და მის სრულწლოვან ოჯახის წევრებთან ჩატარებული ანკეტირებებისა და გასაუბრებების აუდიო ჩანაწერი;

ზ) თავშესაფრის მაძიებელთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ოფიციალური მიმოწერა, გარდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა;

თ) სამედიცინო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

ი) თავშესაფრის მაძიებლის ან/და მისი ოჯახის წევრების საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილებები;

კ) ექსტრადიციის ან გაძევების პროცედურასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავშესაფრის მაძიებლის საკონტაქტო მონაცემები (საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა და სხვა);

მ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებით ამ ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი ხელმოწერებით;

ნ) საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურასთან დაკავშირებული უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მოპოვებული ან შედგენილი ან/და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია;

ო) კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში მათი უფლებამოსილების ან/და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

პ) სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ თავშესაფრის მაძიებლისათვის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობის ასლი.

7. პირადი საქმე ასევე მოიცავს მასში არსებული დოკუმენტების ჩამონათვალს.

8. პირადი საქმის ორგანიზებისა და სისტემატიზაციის მიზნით, პირად საქმეს ენიჭება უნიკალური ნომერი.

9. თავშესაფრის მაძიებლის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პირადი საქმე ასევე დაცული უნდა იქნეს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში.

10. თავშესაფრის მაძიებლის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მონაცემებთან წვდომა უნდა იყოს შეზღუდული და მონაცემები უნდა ინახებოდეს სათანადოდ იზოლირებულ და დაცულ ადგილზე. აღნიშნულ მონაცემებთან წვდომა უნდა გააჩნდეს მხოლოდ უფლებამოსილ

თანამდებობის პირს, რომელიც, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს თავშესაფრის პროცედურით გათვალისწინებულ ქმედებას, ასევე სამმართველოსა და დეპარტამენტის უფროსებს.

11. თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან დაკავშირებული საქმისწარმოების პროცედურა ითვალისწინებს:

ა) უფლებამოსილი თანამდებობის პირის განსაზღვრას, რომელსაც წვდომა ექნება კონკრეტულ თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან დაკავშირებულ პირად საქმეზე, კანონმდებლობით განსაზღვრული მათი კომპეტენციების გათვალისწინებით;

ბ) პირადი საქმის უსაფრთხოებას;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მესამე პირის წვდომას კონკრეტულ თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, ზუსტი მოცულობის და პირობების ჩათვლით.

12. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, მიღებული უნდა იქნეს ზომები, წვდომის დიფერენცირებული დონის და უფლებამოსილი თანამდებობის პირთათვის მონაცემთა ბაზის ველებში დაცულ მონაცემთა შეცვლის შეზღუდვის ჩათვლით.

13. პირადი საქმის შენახვის ადგილიდან პირადი საქმის გატანა/დაბრუნება ფიქსირდება აღრიცხვის ჟურნალში, პირადი საქმის გატანისა და დაბრუნების თარიღების, ასევე პირადი საქმის გამტანი უფლებამოსილი თანამდებობის პირის ვინაობისა და ხელმოწერის მითითებით.

14. დაუშვებელია დოკუმენტ(ებ)ის ამოღება პირადი საქმიდან ამ მუხლით განსაზღვრული წესის დარღვევით.

15. საქმის წარმოების პროცედურების ზედამხედველობას ახორციელებს ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაში შედის:

ა) საქმის წარმოების პროცედურის გამოყენების სწავლება სხვა უფლებამოსილი თანამდებობის პირებისთვის;

ბ) საქმის წარმოების მასალების შემთხვევითი შერჩევის გზით შემოწმება, უფლებამოსილი თანამდებობის პირთა მიერ, დადგენილი პროცედურების დაცულობის უზრუნველსაყოფად.

16. საქმის წარმოების პროცედურების ზედამხედველობაზე განსაზღვრული უფლებამოსილი თანამდებობის პირი ანგარიშვალდებულია თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსთან.

მუხლი 5. მისაღები სივრცე

1. მისაღები სივრცე იმგვარად უნდა იყოს დაგეგმარებული, რომ იგი იძლეოდეს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის უფლებამოსილ თანამდებობის პირთან განცალკევებით ურთიერთობის საშუალებას.

2. თავშესაფრის პროცედურის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად, საკონსულტაციო, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილი ოთახები გამოყოფილი უნდა იყოს სარეგისტრაციო ოთახისგან და მოსაცდელი არესგან, ამასთან, თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის კონსულტაციის, ანკეტირების ან გასაუბრებისათვის გამოძახება უნდა მოხდეს რიგითი ნომრის გამოყენებით.

3. მისაღებ სივრცეში მოწყობილი უნდა იყოს მოსაცდელი არე. მოსაცდელი არე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) დასაჯდომი ადგილები;

ბ) წვდომა საპირფარეშო ოთახთან;

გ) წვდომა სასმელ წყალთან;

დ) შესაბამისი გათბობა, ჰაერის კონდიცირება და განათება.

4. სარეგისტრაციო, საკონსულტაციო, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილ ოთახებში დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

- ა) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გათბობა, ჰაერის კონდიცირება და განათება;
- ბ) ოთახში არსებული ავეჯისა და ტექნიკის განლაგება უნდა იძლეოდეს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ოთახის მარტივად და უსაფრთხოდ დატოვების შესაძლებლობას;
- გ) განგაშის ღილაკი დამონტაჟებული უნდა იყოს უფლებამოსილი თანამდებობის პირისთვის მარტივად ხელმისაწვდომ ადგილზე;
- დ) როგორც წესი, მობილური ტელეფონები უნდა იყოს გამორთული;
- ე) გასაუბრების მიმდინარეობისას, ოთახის კარზე, უნდა გაკეთდეს მინიშნება გასაუბრების მიმდინარეობის შესახებ;
- ვ) ოთახში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასმელი წყალი.

მუხლი 6. მისაღები სივრცის უსაფრთხოება

1. მისაღებ სივრცეში დაცული უნდა იყოს ამ სივრცეში მყოფ პირთა უსაფრთხოება.

2. თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში, უსაფრთხოების დასაცავად მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ზომები:

- ა) მისაღებ სივრცეში შესვლისას, პირთა მასის მოწესრიგებული მართვა;
- ბ) მისაღები სივრცის უსაფრთხოების დარღვევის პრევენციის ან/და დაუყოვნებელი დახმარების მიღების მიზნით, კონსულტაციის, რეგისტრაციის, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილი ოთახები უზრუნველყოფილი უნდა იყოს განგაშის ღილაკით.

3. მისაღებ სივრცეში თავშესაფრის მამიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და უფლებამოსილი თანამდებობის პირთა უსაფრთხოების საკითხებზე კონტროლს ახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შესაბამის ინფორმაციას აწვდის სამმართველოს უფროსს.

4. უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაცვის თანამშრომლის მიმართ თავშესაფრის მამიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მხრიდან არსებული საჩივარი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ ეგზავნება სამმართველოს უფროსს და სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომლებიც, თავის მხრივ კომპეტენციის ფარგლებში, იკვლევენ საჩივარში დაფიქსირებულ გარემოებებს და იღებენ შესაბამის ზომებს.

5. თავშესაფრის პროცედურაში ჩართულ უფლებამოსილ თანამდებობის პირს გავლილი უნდა ჰქონდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების თავიდან აცილებისათვის აუცილებელი მომზადება. მათ შორის:

- ა) ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მეთოდები (მათ შორის, ფსიქიკურად დაავადებულ პირებთან და ნარკოტიკული საშუალებების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან კომუნიკაციის უნარი);
- ბ) კონფლიქტური სიტუაციისას დროული მოქმედება და კონფლიქტური სიტუაციის მართვის უნარი.

6. მისაღები სივრცე უნდა პასუხობდეს უსაფრთხოების შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) სივრცის დაგეგმარება უნდა იძლეოდეს მისაღები სივრცის მოსაცდელი არედან კონსულტაციის, რეგისტრაციის, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილ ოთახებში პირდაპირი მოხვედრის საშუალებას;

ბ) უფლებამოსილ თანამდებობის პირს მარტივად და უსაფრთხოდ უნდა შეემლოს კონსულტაციის, რეგისტრაციის, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილი ოთახების დატოვება;

გ) კონსულტაციის, რეგისტრაციის, ანკეტირებისა და გასაუბრებისთვის განკუთვნილ ოთახებში არ უნდა იყოს ბასრი ან/და მხვლეტავი საგნები ან ისეთი სახის საგნები, რაც მათი იარაღად გამოყენების საშუალებას იძლევა.

7. მისაღებ სივრცეში დაშვებამდე, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ნებისმიერ პირს უტარდება შემოწმება/ფიზიკური დათვალიერება. შემოწმება/ფიზიკური დათვალიერება ტარდება პირის ღირსების შეულახავად. შემოწმებას/ფიზიკურ დათვალიერებას ატარებს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაცვის შესაბამისი სქესის თანამშრომელი.

8. სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მისაღების სივრცის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი დაცვის თანამშრომელი მომზადებული უნდა იყოს შემდეგ საკითხებში:

ა) თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლება, დაშვებულ იქნეს მისაღებ სივრცეში და შეხვედეს უფლებამოსილ თანამდებობის პირს;

ბ) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის უნარები;

გ) კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი, მათ შორის:

გ.ა) ფიზიკური ძალის, როგორც უკიდურესი ზომის გამოყენების უფლება, რათა მისაღებ სივრცეში მყოფმა პირებმა ზიანი არ მიაყენონ საკუთარ თავს ან სხვა პირებს;

გ.ბ) პოლიციის გამოძახება, როგორც უსაფრთხოების დაცვისათვის უკიდურესი ზომის გამოყენება.

მუხლი 7. თარგმნა თავშესაფრის პროცედურაში

1. თავშესაფრის მაძიებელი და საერთაშორისო დაცვის მქონე პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურებით.

2. თავშესაფრის პროცედურაში ჩართული უფლებამოსილი თანამდებობის პირი უნდა ფლობდეს თარჯიმნის საშუალებით ეფექტური კომუნიკაციის დამყარების უნარს.

3. თარჯიმანმა უნდა გაიაროს თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებული აუცილებელი მომზადება.

4. თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას, სათარჯიმნო მომსახურებას ასრულებს სამინისტროს მიერ დაქირავებული თარჯიმანი. სამინისტროს მიერ დაქირავებულ თარჯიმანს უნდა გააჩნდეს საკმარისი ენობრივი და მთარგმნელობითი უნარები და კომპეტენცია.

5. თავშესაფრის პროცედურაში ჩართულმა თარჯიმანმა ხელი უნდა მოაწეროს ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებულ „თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნის ქცევის წესებს“ - დანართი №2-ს.

6. სამინისტროში შესაბამისი ენის თარჯიმნის არარსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის პროცედურაში სათარჯიმნო მომსახურება/თარგმანი შესაძლოა განხორციელდეს:

ა) იმ თარჯიმნის მიერ, რომლის ჩართვა პროცედურაში მოითხოვა თავშესაფრის მაძიებელმა ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირმა;

ბ) სამინისტროს მიერ მოძიებული შესაბამისი ენის თარჯიმნის მიერ.

7. სამინისტრო არ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სათარჯიმნო მომსახურების ანაზღაურებას.

8. თავშესაფრის პროცედურის წარმოებისას, შესაძლებლობის შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებელი ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმავე სქესის თარჯიმნის მომსახურებით, თუ თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის

მიერ განსხვავებული სქესის თარჯიმნის მომსახურება არ არის მოთხოვილი. თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს უნდა მიეცეს თარჯიმანთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხების უფლებამოსილ თანამდებობის პირთან დაფიქსირების შესაძლებლობა.

9. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია:

ა) მიიღოს ინფორმაცია თარჯიმნის ენის ცოდნის დონესთან და თარჯიმნად მუშაობის გამოცდილებასთან დაკავშირებით;

ბ) დარწმუნდეს, რომ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირსა და თარჯიმანს შორის;

გ) განუმარტოს თარჯიმანს გასაუბრების მიზანი, თავისებურებები, თავშესაფრის პროცედურისთვის აუცილებელი თარგმანის დონე და თარჯიმნის ქცევის წესები;

დ) განუმარტოს თარჯიმანს თავშესაფრის პროცედურის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

10. დაუშვებელია თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის კანონიერმა წარმომადგენელმა/მეურვე/მზრუნველმა/მხარდამჭერმა უზრუნველყოს თარგმანი თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში.

11. თავშესაფრის მაძიებელმა არ უნდა გაწიოს სათარჯიმნო მომსახურება. შესაბამისი ენის თარჯიმნის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში სათარჯიმნო მომსახურების გასაწევად საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დაქირავება იმ პირობით, თუ ამ პირს ექნება თავშესაფრის პროცედურის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი აუცილებელი მომზადება და უნარები. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა მოიპოვოს იმ თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის თანხმობა, ვის მიმართაც ტარდება თავშესაფრის პროცედურა.

12. თავშესაფრის პროცედურის ყველა ეტაპზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნების მიუკერძოებლობა, კერძოდ თარჯიმანმა:

ა) არ უნდა შეაფასოს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სანდოობა;

ბ) არ უნდა დაიცვას თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პოზიცია;

გ) არ უნდა მიიღოს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის თხოვნა, სამინისტროს შენობის გარეთ შეხვედრასთან ან ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში მისი მიუკერძოებლობის დარღვევა;

დ) უფლებამოსილ თანამდებობის პირს უნდა აცნობოს ნებისმიერ ისეთ გარემოებასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა დაარღვიოს მისი მიუკერძოებლობა. მათ შორის, მის მიმართ მუქარის განხორციელების ან მატერიალური ან არამატერიალური სიკეთის შეთავაზების შესახებ;

ე) არ უნდა შეარჩიოს, რომელ თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს გაუწევს სათარჯიმნო მომსახურებას;

ვ) არ უნდა გაუწიოს კონსულტაცია თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს.

ზ) არ განახორციელოს ისეთი სახის ქმედება, რაც არ უკავშირდება თარგმანს.

13. თარჯიმანმა უნდა დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამინისტროში თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებისას და არ უნდა გადასცეს ეს ინფორმაცია სხვა პირებს, გარდა თავშესაფრის პროცედურის მონაწილე შესაბამისი უფლებამოსილი თანამდებობის პირისა.

14. თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა ვრცელდება თარჯიმანსა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც.

15. თარჯიმანს არ უნდა გააჩნდეს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პირადი საქმის შენახვის ადგილთან წვდომა.

16. თარჯიმანს უნდა მიეწოდოს პირად საქმეში არსებული დოკუმენტების მხოლოდ ის ნაწილი, რაც აუცილებელია მისი მოვალეობების შესასრულებლად.

თავი II

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ან თავშესაფრის მაძიებლის მიღება, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაცია და ანკეტირება

მუხლი 8. უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ან თავშესაფრის მაძიებლის მიღება

1. მისაღებ სივრცეში უცხოელის, მოქალაქეობის არმქონე პირის და თავშესაფრის მაძიებლის მოწესრიგებულ დაშვებას ახორციელებს მისაღები სივრცის ადმინისტრატორი, რომელსაც დახმარებას უწევს უფლებამოსილი თანამდებობის პირები და თარჯიმნები. უფლებამოსილი თანამდებობის პირის მისაღები სივრცის ადმინისტრატორის მოვალეობა განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

2. მისაღები სივრცის ადმინისტრატორი პირის მიღებისთანავე არკვევს მის მოთხოვნებს და ამისამართებს შესაბამისი პროცედურების გასავლელად.

3. ანკეტირების, გასაუბრების პროცედურაზე ან თავშესაფრის პროცედურის სხვა მიზნებისთვის გათვალისწინებულ შეხვედრაზე დაბარებულმა თავშესაფრის მაძიებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი შეტყობინება. თავშესაფრის მაძიებელი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მიღებამდე იცდის მოსაცდელ არეში.

4. თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისას გამოვლენილი უნდა იქნეს არის თუ არა თავშესაფრის მაძიებელი სპეციფიკური საჭიროების მქონე პირი.

მუხლი 9. თავშესაფრის მაძიებლის ინფორმირება თავშესაფრის პროცედურის შესახებ

1. თავშესაფრის მაძიებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია თავშესაფრის პროცედურასთან, მათ შორის, მის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით.

2. თავშესაფრის პროცედურებთან დაკავშირებით კონსულტაცია შეიძლება ერთდროულად გაეწიოს რამდენიმე თავშესაფრის მაძიებელს.

3. უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს კონსულტაციას თავშესაფრის პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე, აწარმოებს კონსულტაციის ჩატარების ოქმს, ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დამტკიცებული დანართი №3-ის შესაბამისად. ჩანაწერი ინახება თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმეში.

მუხლი 10. კონფიდენციალურობის დაცვა მისაღებ სივრცეში

1. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა მისაღებ სივრცეში უნდა უზრუნველყოს კონფიდენციალურობის დაცვა. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც იძლევა მისაღებ სივრცეში მყოფ პირთა მიერ თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მისაღებ სივრცეში კონფიდენციალურობის დასაცავად გამოყენებული უნდა იქნეს რიგითი ნომრების მინიჭების სისტემა.

2. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა არ უნდა მოუხმოს თარგმანში დასახმარებლად მისაღებ სივრცეში მყოფ სხვა თავშესაფრის მამიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს, გარდა ამ პროცედურის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 11. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოვალეობები

უცხოელთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღებასა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს მოეთხოვება:

ა) თავშესაფრის მამიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლება-მოვალეობების და თავშესაფრის პროცედურის ცოდნა;

ბ) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა გამოვლენისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების უნარი;

გ) თავშესაფრის მამიებელთა კულტურული, ასაკობრივი და სქესობრივი მახასიათებლების გათვალისწინების უნარი;

დ) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირებთან და თარჯიმნებთან მუშაობის მეთოდის ცოდნა;

ე) კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი.

მუხლი 12. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღება და რეგისტრაცია

1. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მიმართავს სამინისტროს, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების“ - დანართი №4-ის შესაბამისად. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი ავსებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ფორმას, რომელიც მომზადებულია მისთვის გასაგებ ენაზე. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას თან დაერთვის ქართულ ენაზე შესაბამისი თარგმანი.

2. უცხოელი ან მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია, საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მიუთითოს საქართველოში ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი). საცხოვრებელი მისამართის არარსებობის ან არცოდნის შემთხვევაში, იგი უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნული ინფორმაციის ანკეტირების პროცედურისთვის წარდგენის ვალდებულების შესახებ.

3. უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის და მისი ოჯახის წევრების საერთაშორისო დაცვაზე განცხადება რეგისტრირდება დაუყოვნებლივ, ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში შეიტანება მონაცემები ოჯახის წევრთა შესახებ.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას, თან დაერთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ის დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის მოთხოვნის საფუძვლიანობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. პირადი საქმის უნიკალური ნომრის მიხედვით, თავშესაფრის მამიებელსა და მის ოჯახის წევრებს ენიჭებათ ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრები, რომლებიც მოიცავს პირადი საქმის უნიკალურ ნომერს. დაუშვებელია სარეგისტრაციო ნომრის ცვლილება და იგი გამოიყენება პირის იდენტიფიკაციისათვის თავშესაფრის პროცედურის ყველა ეტაპზე და შესაბამისი სტატუსის მინიჭების შემდგომაც.

6. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება მიღებულად ითვლება სამინისტროში რეგისტრაციის დღიდან. თავშესაფრის მამიებლის ცნობის გაცემის, შეცვლის წესი და ფორმა განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

7. თავშესაფრის მამიებლის ცნობა გაიცემა მხოლოდ თავშესაფრის მამიებლებზე.

8. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავშესაფრის მაძიებელს უღებს ფოტოსურათს და ინახავს ციფრულ ფორმატში. ასევე, იღებს 14 წელს გადაცილებული ყველა თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდებს და არსებობის შემთხვევაში, მისი სამგზავრო დოკუმენტის ასლს, რომელსაც ინახავს თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში და თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმეში. თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების აღების და ამ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

9. მიღებული უნდა იქნეს ყველა საჭირო ზომა თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში ფოტოსურათების, თითის ანაბეჭდების ან/და სხვა მონაცემების შეცვლის ან წაშლის თავიდან ასაცილებლად.

10. თავშესაფრის მაძიებლის ცნობის მიღებისთანავე, თავშესაფრის მაძიებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აბარებს სამგზავრო დოკუმენტს, რომელიც მას უბრუნდება:

ა) პირადი განცხადებით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის საფუძველზე, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის თაობაზე სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;

ბ) ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სამინისტროს გადაწყვეტილების შემდეგ;

გ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ სამინისტროს გადაწყვეტილების, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გასაჩივრების შემთხვევაში, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

11. სამგზავრო დოკუმენტის ჩაბარების, ისევე როგორც გატანის ფაქტი, ფიქსირდება აღრიცხვის ჟურნალში, თავშესაფრის მაძიებლისა და უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერებით.

12. დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მისაღებად, თავშესაფრის მაძიებელს გადაეცემა თავშესაფრის მაძიებლის ცნობა და პასპორტის დამოწმებული ასლი.

13. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენის დღეს თავშესაფრის მაძიებელს მისთვის გასაგებ ენაზე წერილობით ეცნობება ანკეტირების თარიღის, ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის წარდგენის, არსებობის შემთხვევაში მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარდგენის აუცილებლობის და ანკეტირებაზე ან გასაუბრებაზე არასაპატიო მიზეზით, შეტყობინების იგნორირებით, ორჯერ გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით დამტკიცებული დანართი №5-ში მოცემული ფორმის შესაბამისად, რომელსაც ხელს აწერენ თავშესაფრის მაძიებელი და უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

მუხლი 13. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მიერ, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენა

1. თუ საერთაშორისო დაცვა მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილმა არასრულწლოვანმა ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირმა, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, ის დაუყოვნებლივ რეგისტრირდება თავშესაფრის მაძიებლად უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ოქმის შედგენის საფუძველზე, ხოლო საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს მეურვის/მზრუნველის /მხარდამჭერის დანიშვნის შემდეგ. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის ათვლა იწყება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციის დღიდან.

2. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანზე ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, ოქმს

ადგენს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელსაც ხელს აწერენ უფლებამოსილი თანამდებობის პირი და საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმანი.

3. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით მიმართავს შესაბამის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, განთავსებისა და მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნის თაობაზე, სანამ ის საქართველოში რჩება.

4. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენაზე პასუხისმგებელია მეურვე /მზრუნველი /მხარდამჭერი, რომელიც მოქმედებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ინტერესების გათვალისწინებით.

5. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, თავშესაფრის მაძიებლის ცნობა გაიცემა მის მეურვეზე/მზრუნველზე/მხარდამჭერზე.

6. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენის დღეს, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, მის მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს წერილობით ეცნობება ანკეტირების თარიღის, არასრულწლოვნის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის წარდგენის აუცილებლობის, არსებობის შემთხვევაში, მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარდგენის აუცილებლობის და ანკეტირებაზე არასაპატიო მიზეზით, შეტყობინების იგნორირებით, ორჯერ გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტით დამტკიცებული დანართ №6-ში მოცემული ფორმის შესაბამისად, რომელსაც ხელს აწერს მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი და უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

მუხლი 14. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობა და განმეორებით მიმართვა

1. თავშესაფრის მაძიებლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის /მზრუნველის/მხარდამჭერის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, თავშესაფრის მაძიებლისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შესაძლებელია საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებელი სამინისტროს მიმართავს ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით დამტკიცებული „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის თაობაზე“ განცხადებით – დანართი №7-ის შესაბამისად.

3. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა თავშესაფრის მაძიებელს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა აცნობოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის სამართლებრივი შედეგები, რის თაობაზეც დგება ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-7 პუნქტით დამტკიცებული ოქმი დანართი №8-ის შესაბამისად. ოქმს ხელს აწერს სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირი და თავშესაფრის მაძიებელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის შემდეგ, თავშესაფრის მაძიებელი უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს სამინისტროს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მის საქმესთან დაკავშირებით ახალი გარემოებები და აღნიშნული მისთვის ცნობილი გახდა საერთაშორისო დაცვაზე განცხადების უკან გამოხმობის შემდეგ, ხოლო სამინისტრომ იგი უნდა უზრუნველყოს სამართლიანი და ეფექტური თავშესაფრის

პროცედურით. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით განმეორებით მიმართვის შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებელმა უნდა მიუთითოს განცხადების გამომხმობისა და განმეორებით მიმართვის საფუძველი, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-8 პუნქტით დამტკიცებული „საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამომხმობის შემდეგ, საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნის თაობაზე“ განცხადებით - დანართი №9-ის შესაბამისად.

5. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამომხმობის საფუძველზე, უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ, თავშესაფრის მაძიებლის მიერ შესაბამისი ოქმის ხელმოწერიდან მე-7 სამუშაო დღეს. გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით თავშესაფრის მაძიებელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს/მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს ეგზავნება 3 სამუშაო დღის ვადაში (ქართულად და ნათარგმნი მისთვის გასაგებ ენაზე), გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის მითითებით.

6. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამომხმობის საფუძველზე, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია სამინისტროს ჩააბაროს დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დატოვოს ქვეყანა, თუ არ არსებობს მისი ქვეყანაში ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი.

მუხლი 15. ანკეტირების და გასაუბრების პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირის მოვალეობები

ანკეტირების და გასაუბრების პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილ თანამდებობის პირს მოეთხოვება:

- ა) თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლება-მოვალეობებისა და თავშესაფრის პროცედურის ცოდნა;
- ბ) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა გამოვლენისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების უნარი;
- გ) თავშესაფრის მაძიებელთა კულტურული, ასაკობრივი და სქესობრივი მახასიათებლების გათვალისწინების უნარი;
- დ) გასაუბრების ჩატარების, მათ შორის სპეციფიკური საჭიროების მქონე პირებთან გასაუბრების ჩატარების მეთოდის ცოდნა;
- ე) თარჯიმანთან მუშაობის მეთოდის ცოდნა;
- ვ) კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი.

მუხლი 16. ანკეტირების პროცედურა

1. ანკეტის შევსების მიზნით, თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრება ტარდება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ანკეტირების მიზნით, გასაუბრება ასევე ტარდება თავშესაფრის მაძიებლის ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრთან ინდივიდუალურად, მათი საქართველოში ყოფნის შემთხვევაში.

2. თავშესაფრის მაძიებლის ანკეტა ივსება ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-9 პუნქტით დამტკიცებული დანართი №10-ის შესაბამისად, ხოლო თავშესაფრის მაძიებლის სრულწლოვანი ოჯახის წევრების ანკეტა ივსება ინდივიდუალურად, ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-9 პუნქტით დამტკიცებული დანართი №11-ის შესაბამისად. ანკეტის შევსების მიზნით, გასაუბრებას ატარებს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, ამისთვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახში.

3. ანკეტირება ხორციელდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის საშუალებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ანკეტირების მასალების სიზუსტე. აუდიოჩაწერის თაობაზე თავშესაფრის

მამიებელს ეცნობება ანკეტირების პროცედურის დაწყების წინ. აუდიოჩაწერა ხორციელდება შემდეგი პროცედურით:

ა) თავშესაფრის მამიებლისათვის აუდიოჩაწერის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, ირთვება ხმის ჩამწერი მოწყობილობა;

ბ) ხმის ჩამწერი მოწყობილობის ჩართვისას სიტყვიერად ფიქსირდება ჩაწერის დაწყების დრო და თარიღი;

გ) აუდიოჩაწერის დროებით შეჩერების აუცილებლობის შემთხვევაში, სიტყვიერად ფიქსირდება დროებით შეჩერების მიზეზი და მიეთითება დრო. აუდიოჩაწერის განახლებისას, სიტყვიერად ფიქსირდება აუდიოჩაწერის განახლების დრო;

დ) ანკეტირების პროცესის აუდიოჩაწერის დასრულება ფიქსირდება სიტყვიერად და ასევე სიტყვიერად მიეთითება დასრულების დრო;

ე) ანკეტირების აუდიოჩაწერი ინახება თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეში, ციფრულ ფორმატში, კომპაქტურ დისკზე.

4. ანკეტირების პროცედურის დაწყებისთანავე თავშესაფრის მამიებელს უნდა განემარტოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თავშესაფრის მამიებლის უფლება-მოვალეობები და თავშესაფრის პროცედურები ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-10 პუნქტით დამტკიცებულ დანართ №12-ში მოცემული ფორმის შესაბამისად.

5. თავშესაფრის მამიებლის კანონიერი წარმომადგენელი ანკეტირების პროცედურაზე დაიშვება შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

6. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, მისი მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი ანკეტირების პროცედურაზე დაიშვება შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.

მუხლი 17. დოკუმენტაცია

1. ანკეტირების პროცედურის დაწყებამდე, თავშესაფრის მამიებელმა, არსებობის შემთხვევაში, უნდა წარადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც უკავშირდება მის ასაკს, წარმომავლობას, იდენტობას, მოქალაქეობას (მოქალაქეობებს), წარმოშობის ქვეყანას (ქვეყნებს), ადგილს (ადგილებს), საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას, წარმოშობის ქვეყნის დატოვების და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის მიზეზებს და გარემოებებს, ასევე, მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს დედნების ან/და კითხვადი/აღქმადი ასლების სახით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. თავშესაფრის მამიებელმა უნდა განმარტოს ამ მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარუდგენლობის მიზეზი. აღნიშნული ინფორმაცია შეიტანება ანკეტის ფორმაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მამიებელს შეუძლია საკუთარი ან სხვა პირების სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის რისკის გარეშე იმ დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას, მას დაენიშნება შეხვედრა დოკუმენტების სამინისტროსთვის გადასაცემად, რის შესახებ ინფორმაციაც შეიტანება ანკეტის ფორმაში.

5. დაუშვებელია, თავშესაფრის მამიებლისთვის შეთავაზებულ იქნეს დოკუმენტაციის მოსაპოვებლად წარმოშობის ქვეყნის ხელისუფლებასთან დაკავშირება, ან ისეთი ქმედების ჩადენა, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს წარმოშობის ქვეყანაში მყოფ მის ოჯახის წევრებს ან ახლობლებს.

6. უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს თავშესაფრის მამიებლის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის ასლს, რომელიც ინახება თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეში, დოკუმენტაციის

აღწერილობის, წარდგენის თარიღის და წარდგენილი დოკუმენტის სახის (დედანი, ასლი) მითითებით.

7. დაუშვებელია, თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეში მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის დედნების შენახვა.

მუხლი 18. სპეციფიკური საჭიროების მქონე პირი

1. თავშესაფრის პროცედურის განხორციელებისას გამოვლენილი უნდა იქნეს არის თუ არა თავშესაფრის მამიებელი სპეციფიკური საჭიროების მქონე პირი.

2. სპეციფიკური საჭიროების მქონე პირებში მოიაზრება პირთა შემდეგი კატეგორიები:

ა) არასრულწლოვანი;

ბ) კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი;

დ) ხანდაზმული პირი;

ე) ორსული;

ვ) მარტოხელა მშობელი არასრულწლოვანი შვილ(ებ)ით;

ზ) ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი;

თ) სერიოზული ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაავადების მქონე პირი;

ი) პოსტტრავმული აშლილობის მქონე პირი;

კ) წამების, გაუპატიურების, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი;

ლ) პირი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ პროცედურულ გარანტიებს, რათა ისარგებლოს იმ უფლებებით და შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღების ეტაპზე თავშესაფრის მამიებლის სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენისას, მას ენიჭება პრიორიტეტი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღებისა და რეგისტრაციის პროცედურებში.

4. თავშესაფრის მამიებელთა საერთაშორისო დაცვაზე განცხადების მიღებასა და ანკეტირებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის შემთხვევაში, ადგენს ამ პირთა კონკრეტულ საჭიროებებს.

5. სპეციფიკური საჭიროების მქონე პირის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისთანავე, დეპარტამენტმა, უნდა უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება და განთავსება. თავშესაფრის მამიებლის ირთიფიკური საჭიროების მქონე პირის მიერ საერთაშორისო დარჩენილი არასრულწლოვანის განსახლება უნდა განხორციელდეს მისი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. თავშესაფრის მამიებლის მიმღებ ცენტრში განთავსების ან სხვა ადგილას განსახლების წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

6. სამინისტრომ დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანის შესახებ, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში – საჭიროებისამებრ, კანონმდებლობით განსაზღვრული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინფორმირება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის დანიშვნას, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 19. წამების ან არაადამიანური ან ღირსებისშემლახავი მოპყრობის, ან ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლები

1. წამების, ან არაადამიანური ან ღირსებისშემლახავი მოპყრობის, ან ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლს ხელი უნდა მიუწვდებოდეს თავშესაფრის პროცედურასთან

დაკავშირებულ კონსულტაციაზე და თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში შესაბამის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებაზე.

2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების განხილვისას პრიორიტეტი ენიჭება წამების, ან არაადამიანური ან ღირსებისშემლახავი მოპყრობის, ან ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვას.

მუხლი 20. სპეციფიკური საჭიროების მქონე ქალები

1. ქალებს, რომლებიც წარმოადგენენ სექსუალური ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლს, ასევე, ორსულებს და მარტოხელა დედებს, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა დაუყოვნებლივ უნდა გაუწიოს კონსულტაცია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თავშესაფრის მაძიებლის უფლება-მოვალეობებისა და თავშესაფრის პროცედურების თაობაზე.

2. კონსულტაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირი უნდა ფლობდეს სპეციფიკური საჭიროების მქონე ქალებთან გასაუბრების წარმოების მეთოდებს და ამ პირთა მიერ აუცილებელი სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას.

მუხლი 21. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა

1. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის მიმართ თავშესაფრის პროცედურასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება ან/და ქმედება უნდა ეყრდნობოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთან კონსულტაციას, უნდა ფლობდეს არასრულწლოვანთან გასაუბრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს და კვალიფიკაციას, ასევე, მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს. უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ასაკი და უნარები, მათ შორის განვითარების დონე, აღქმისა და კომუნიკაციის უნარი.

3. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანს უნდა დაენიშნოს მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერი, რომელიც წარმოადგენს არასრულწლოვნის ინტერესებს თავშესაფრის პროცედურის ყველა ეტაპზე და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი იმყოფება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებაში ან სხვა საპატიმრო დაწესებულებაში, ანკეტირების მიზნით, მასთან გასაუბრება ხორცილდება მისი ადვოკატის თანდასწრებით.

4. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისთანავე, განსახლება უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

5. დეპარტამენტმა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ოჯახის წევრების უმოკლეს ვადებში მოძიება, ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში.

6. იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანს არ შეუძლია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, მიღებული უნდა იქნეს მის მიერ მოწოდებული მონაცემები. თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ თავშესაფრის მაძიებელი არ არის არასრულწლოვანი, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი სამედიცინო/საექსპერტო ზომები ასაკის

დასადგენად. ნებისმიერი ეჭვი არასრულწლოვნის მიერ დასახელებულ ასაკთან დაკავშირებით გადაწყვეტილი უნდა იქნეს არასრულწლოვნის სასარგებლოდ.

მუხლი 22. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სერიოზული ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაავადების მქონე პირები, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირები, პოსტტრავმული აშლილობის მქონე პირები

1. თავშესაფრის პროცედურის საწყის ეტაპზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა კონსულტაცია უნდა გაუწიოს შეზღუდული შესაძლებლობების, სერიოზული ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაავადების, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების ან პოსტტრავმული აშლილობის მქონე პირებს მათთვის კანონდებლობით დადგენილი სოციალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სხვა შესაბამისი დახმარების გაწევის შესაძლებლობის თაობაზე.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან, სერიოზული ფიზიკური ან/და ფსიქიკური დაავადების მქონე პირებთან, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირებთან ან პოსტტრავმული აშლილობის მქონე პირებთან დაკავშირებით საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა უნდა შეაფასოს თავშესაფრის მაძიებლის უნარი, თავშესაფრის პროცედურის გააზრებასთან და საერთაშორისო დაცვის მისაღებად აუცილებელი მტკიცებულების წარდგენასთან დაკავშირებით.

3. თავშესაფრის მაძიებლის გონებრივი/ინტელექტუალურ ან ფსიქიკურ დარღვევებთან დაკავშირებული საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, სამინისტრომ, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მისთვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, ექსპერტიზის ჩატარებისა და მხარდამჭერის დანიშვნის მიზნით.

4. ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე თავშესაფრის მაძიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესწავლა უნდა შეჩერდეს მხარდამჭერის დანიშვნამდე. ამ პერიოდში თავშესაფრის მაძიებელი სარგებლობს თავშესაფრის მაძიებლებისთვის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებებით.

5. ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე თავშესაფრის მაძიებელთან ანკეტირება და გასაუბრება უნდა ჩაატაროს უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დარგის სპეციალისტის მონაწილეობით.

6. ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრება შესაძლებელია არ ჩატარდეს, როდესაც თავშესაფრის მაძიებელს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ გააჩნია ადეკვატური ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვაზე გადაწყვეტილება მიიღება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ პროცედურის გათვალისწინებით მოპოვებული სხვა ინფორმაციის და დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 23. გასაუბრების გრაფიკის შედგენა

1. თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრება უნდა დაენიშნოს იმ რიგით, რომლითაც მიღებულ იქნა მისი საერთაშორისო დაცვაზე განცხადება, გარდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-19 მუხლებში მოცემული გარემოებების არსებობის აშკარად დასაბუთების, ამავე კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული წამების და ძალადობის მსხვერპლის, ან 45-ე მუხლით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების არსებობის შემთხვევებისა, რა დროსაც საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს პრიორიტეტულად.

2. გამეგების პროცედურაში მყოფი პირის, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ან დაჩქარებული წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შემთხვევაში, სტატუსის დადგენის გასაუბრება უნდა დაინიშნოს სტატუსის დამდგენის სპეციალისტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, პირველივე შესაძლო დღეს, ამ განცხადების განხილვის სავალდებულო ერთოვანი ვადის გათვალისწინებით, მაგრამ ამ ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ათი დღისა.

3. მისაღებ სივრცეში გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად, თავშესაფრის მამიებელთან შეხვედრა, ანკეტირება და სტატუსის დადგენის გასაუბრება ინიშნება გრაფიკის შედგენის ცენტრალიზებული სისტემის საშუალებით, რომლის კოორდინაციას ახორციელებს მისაღები სივრცის ადმინისტრატორი.

4. ანკეტირების პროცედურის ჩატარების გადადების საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ატყობინებს მისაღები სივრცის ადმინისტრატორს პროცედურის ჩატარების გადადების შესახებ, პროცედურის ჩატარებისთვის განსაზღვრული დროის მითითებით.

5. სამმართველოს უფროსს მიეწოდება ინფორმაცია გრაფიკების შედგენისას გამოვლენილი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს თავშესაფრის პროცედურის ჯეროვნად განხორციელებაზე.

მუხლი 24. სტატუსის დადგენის გასაუბრების გრაფიკის შედგენა

1. სტატუსის დადგენის გასაუბრების გრაფიკის შედგენისას გაითვალისწინება შემდეგი გარემოებები:

ა) სტატუსის დამდგენი სპეციალისტის ინფორმირებულობა თავშესაფრის მამიებლის წარმოშობის ქვეყანასთან დაკავშირებით;

ბ) წარმოადგენს თუ არა თავშესაფრის მამიებელი სპეციფიკური საჭიროების მქონე პირს;

გ) საქმის სირთულე;

დ) კვირის განმავლობაში სხვა სახის შეხვედრების რაოდენობა (ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული გასაუბრება, დამატებითი გასაუბრება, დოკუმენტების გადაცემასთან დაკავშირებით დაგეგმილი შეხვედრა).

2. სტატუსის დადგენისთან გასაუბრება ინიშნება თავშესაფრის მამიებლის მიერ ინფორმაციის მიწოდებისა და ამ ინფორმაციის ანალიზისთვის საკმარისი დროის გათვალისწინებით.

3. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი გასაუბრებას ატარებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების რეგისტრაციიდან ოთხი თვის ვადაში, ხოლო „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-6-8 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ამ პროცედურის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 25. სტატუსის დადგენის გასაუბრების თარიღის შეცვლა

1. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, თავშესაფრის მამიებლის თხოვნით, სტატუსის დადგენის გასაუბრების თარიღის გადატანის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თავშესაფრის მამიებლის მიერ წარდგენილი მიზეზების გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დგება ოქმი, რომელიც შეიტანება თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეში. გასაუბრების ახალი თარიღი განისაზღვრება სტატუსის დადგენის გასაუბრების გრაფიკის შესაბამისად, მაგრამ გასაუბრების ჩანიშნული თარიღიდან არაუგვიანეს 2 კვირისა. თავშესაფრის მამიებლის თხოვნით, სტატუსის დადგენის გასაუბრება შესაძლებელია გადატანილ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

2. სტატუსის დადგენის გასაუბრების გადატანის შესაძლო შედეგების გათვალისწინებით, გასაუბრების თარიღის გადატანა ხორციელდება თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსის თანხმობით.

3. გამძევების პროცედურაში მყოფი პირის განცხადების, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის განცხადების ან დაჩქარებული წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესწავლასთან დაკავშირებით, გასაუბრების თარიღის გადატანა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ გასაუბრების ჩანიშნული თარიღიდან არაუგვიანეს სამი დღისა.

4. თუ სტატუსის დადგენის დაგეგმილი გასაუბრებების რაოდენობა აჭარბებს სამმართველოს ადამიანური რესურსის შესაძლებლობებს, გადაწყვეტილება გასაუბრების გადატანასთან დაკავშირებით მიიღება სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსის მიერ, სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით, მაგრამ სტატუსის დადგენის გასაუბრების ჩანიშნული თარიღიდან არაუგვიანეს 30 დღისა.

თავი III. გადაწყვეტილების მიღება საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებით

მუხლი 26. საქმეების განაწილება სამმართველოს სტატუსის დამდგენ სპეციალისტებს შორის

1. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ამზადებს სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, რომელსაც მოეთხოვება:

- ა) თავშესაფრის მამიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლება-მოვალეობების და თავშესაფრის პროცედურის ცოდნა;
- ბ) გასაუბრების ტექნიკის ფლობა;
- გ) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირთა გამოვლენისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების უნარი;
- დ) თავშესაფრის მამიებელთა კულტურული, ასაკობრივი და სქესობრივი მახასიათებლების გათვალისწინების უნარი;
- ე) სპეციფიკური საჭიროების მქონე პირებთან და თარჯიმნებთან მუშაობის მეთოდის ცოდნა;
- ვ) კონფლიქტური სიტუაციების მართვის უნარი.

2. სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსი ანაწილებს საქმეებს სტატუსის დამდგენ სპეციალისტებს შორის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ჩვეულებრივი ან დაჩქარებული წესით განხილვისა და განხილვის შესაბამისი ვადის მითითებით.

3. საქმეების განაწილებისას, როგორც წესი, მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

- ა) გათვალისწინებული უნდა იქნეს სტატუსის დამდგენი სპეციალისტის შესაბამისი ცოდნა კონკრეტული რეგიონების ან საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებული „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დევნის გარემოებების თავისებურებების მიხედვით.
- ბ) ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში, საქმეების განაწილება უნდა განხორციელდეს იმავე სქესის სტატუსის დამდგენ სპეციალისტზე, რომელსაც წარმოადგენს თავშესაფრის მამიებელი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თავშესაფრის მამიებელი არ ითხოვს განსხვავებული სქესის სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიერ საქმის განხილვას.
- გ) ერთი ოჯახის წევრების ან იმ ახლო ნათესავების ურთიერთდაკავშირებული საქმეები, რომლებიც განიხილება დამოუკიდებლად, ნაწილდება ერთ სტატუსის დამდგენ სპეციალისტზე.

4. საქმეების განაწილება უნდა განხორციელდეს ანკეტირების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, რათა სტატუსის დამდგენ სპეციალისტს ჰქონდეს საკმარისი დრო საქმის მასალების გაცნობისა და მათი განხილვისთვის.

5. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი აწარმოებს მისთვის გადაწერილი საქმეების სიას, თითოეული საქმის მდგომარეობის მითითებით. ყოველი თვის ბოლოს, სია წარედგინება სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსს.

მუხლი 27. სტატუსის დადგენის გასაუბრება

1. სტატუსის დადგენის მიზნით, თავშესაფრის მაძიებელთან ტარდება გასაუბრება სტატუსის დადგენის მიზნით, გასაუბრება ასევე ტარდება თავშესაფრის მაძიებლის ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრთან ინდივიდუალურად, მათი საქართველოში ყოფნის შემთხვევაში.

2. გასაუბრების მიზანია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული არსებითი გარემოებების დადგენა, რაც მოიცავს ინფორმაციას თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარმოშობის ქვეყნის დატოვების ან/და დაუბრუნებლობის მიზეზების შესახებ, ასევე ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია დაადგინოს პირზე საერთაშორისო დაცვის გავრცელების საჭიროება.

3. თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრების ჩატარების შესახებ წერილობით ეცნობება 3 სამუშაო დღით ადრე მის პირად საქმეში მითითებულ მისამართზე. იმ შემთხვევაში, როდესაც უცნობია თავშესაფრის მაძიებლის მისამართი, შეტყობინება ასევე შეიძლება განხორციელდეს ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ სტატუსის დამდგენი სპეციალისტი თავშესაფრის მაძიებელს გასაუბრების დანიშვნის შესახებ ატყობინებს ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიერ დგება კომუნიკაციის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ოქმის შემდგენი, ხოლო თარჯიმნის მეშვეობით დაკავშირების შემთხვევაში, ასევე თარჯიმანიც.

4. თავშესაფრის მაძიებელს ან მისი ოჯახის წევრს, გასაუბრებისას ახალი ან/და შეუსაბამო/წინააღმდეგობრივი გარემოების წარმოდგენის შემთხვევაში, ეძლევა განმარტების გაკეთების შესაძლებლობა. თავშესაფრის მაძიებელს ასევე ეძლევა განმარტების გაკეთების შესაძლებლობა მის მიერ მიწოდებულ ფაქტებსა და შესაბამისი ინფორმაციის სხვა წყაროებს, მათ შორის წარმოშობის ქვეყნის ინფორმაციას შორის შეუსაბამო/წინააღმდეგობასთან დაკავშირებით.

5. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრების ჩატარებამდე, იკვლევს საქმის გარემოებებს. კერძოდ:

ა) ეცნობა თავშესაფრის მაძიებლის და მისი ოჯახის წევრების ანკეტირების მასალებსა და საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას, გამოყოფს საქმესთან უშუალო კავშირში მყოფ არსებით დეტალებს და განსაზღვრავს მნიშვნელოვანი მოვლენების თანმიმდევრობას;

ბ) შეისწავლის სამგზავრო და სხვა სახის დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს და მხედველობაში იღებს იმ მონაცემებს, რომლებიც უშუალო კავშირშია საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან;

გ) შეისწავლის თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას, ქვეყნის რეგიონების რუკების ჩათვლით და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის რუკებს გასაუბრების პროცედურისთვის;

დ) გასაუბრებისთვის ამზადებს გადაწყვეტილების მისაღებად არსებითი მნიშვნელობის მქონე კითხვებს;

ე) თავშესაფრის მაძიებლის მიერ გასაუბრების პროცედურის მსვლელობისას, შესაბამისი განმარტებების წარდგენის მიზნით გამოყოფს ისეთ საკითხებს, რომლებიც აკლია საქმის წარმოების მასალებს, არის ბუნდოვანი ან არის ურთიერთშეუსაბამო.

6. თავშესაფრის მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელი/მეურვე/მზუნველი/მხარდამჭერი სტატუსის დადგენის მიზნით ჩატარებულ გასაუბრებაზე დაიშვება შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. თავშესაფრის მაძიებლის კანონიერი წარმომადგენელს/მეურვეს/მზუნველს/მხარდამჭერს სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა უნდა განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები, კერძოდ:

ა) უფლება, გასაუბრების პროცესთან დაკავშირებით არსებული განცხადება წარადგინოს წერილობით გასაუბრების ბოლოს.

ბ) გასაუბრების პროცედურაში ჩარევის დაუშვებლობა, გარდა ისეთი პროცედურული დარღვევის შემთხვევისა, რისი გამოსწორებაც შეუძლებელი იქნებოდა გასაუბრების ბოლოს წერილობითი განცხადების წარდგენით.

გ) გასაუბრებისთვის ხელის შეშლის დაუშვებლობა.თუ კანონიერი წარმომადგენლის /მეურვის/მზუნველის/მხარდამჭერის მონაწილეობა ხელს უშლის გასაუბრების პროცესს, მან უნდა დატოვოს გასაუბრების პროცედურა, რის თაობაზეც დგება ოქმი ამ პირის გასაუბრების გასაუბრების დატოვების მიზეზის მითითებით, რაც დაერთვის თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეს.

7. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა, გასაუბრების დაწყებისთანავე, თავშესაფრის მამიებელს უნდა განუმარტოს თავშესაფრის მამიებლის უფლება-მოვალეობები და თავშესაფრის პროცედურა ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-11 პუნქტით დამტკიცებულ დანართ №13-ში მოცემული ფორმის შესაბამისად.

8. გასაუბრებისას, სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიერ დასმული შეკითხვები ემსახურება საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ სრული და ზუსტი განმარტების მიღებას. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი უპირატესობას ანიჭებს ღია ტიპის შეკითხვების დასმას, რათა თავშესაფრის მამიებელს მიეცეს არსებითი დეტალების საკუთარი სიტყვებით აღწერის შესაძლებლობა. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი თავშესაფრის მამიებელს თხოვს არ აწყვეტინებს, გარდა ასეთის საჭიროებისა .

9. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა თავშესაფრის მამიებელს უნდა შესთავაზოს, ქრონოლოგიურად აღწეროს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასა და ანკეტირებაში მითითებული გარემოებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს წარდგენილი ფაქტების სრულყოფილი შეფასება, ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოვლენა და მათი შესაძლო გამოსწორება. ამასთან, დამატებითი გასაუბრების თავიდან აცილების მიზნით, გასაუბრება უნდა ჩატარდეს სრულყოფილად.

10. დამატებითი გასაუბრება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ:

ა) აუცილებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლა;

ბ) გასაუბრების მსვლელობისას გამოიკვეთა ისეთი სახის ახალი გარემოება, რომელიც არ იყო ცნობილი სტატუსის დამდგენის სპეციალისტისთვის და საჭიროებს დამატებით შესწავლას;

გ) სახეზეა გამორიცხვის კრიტერიუმების შეფასების საჭიროება.

11. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა გასაუბრებისას უნდა გამოარკვიოს არასრული ან/და ურთიერთშეუსაბამო ფაქტები ან/და განცხადებები. გასაუბრებისას, თავშესაფრის მამიებელს უნდა მიეთითოს გამოვლენილ ურთიერთშეუსაბამობებზე და ეთხოვოს შესაბამისი განმარტება. თავშესაფრის მამიებელს ასევე უნდა მიეცეს საშუალება განმარტოს ინფორმაციის და მტკიცებულებების არარსებობის თუ წარუდგენლობის მიზეზები. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფრის მამიებელს არ მიეცა საშუალება, რათა აეხსნა გამოვლენილი ურთიერთშეუსაბამო ან სხვა არადამაჯერებელი ფაქტები, ასევე ინფორმაციის და მტკიცებულებების არარსებობის თუ წარუდგენლობის მიზეზები, სტატუსის დამდგენ სპეციალისტს არ ექნება უფლება გადაწყვეტილების მომზადების პროცესში, სანდოობის შეფასებისას, არასანდოდ მიიჩნიოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებული ასეთი არსებითი ფაქტები.

მუხლი 28. გასაუბრება კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთან

1. შესაძლებლობის შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთან გასაუბრებას ატარებს სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას და მომზადებულია ბავშვის ფსიქოლოგიური, ემოციური, ფიზიკური განვითარებისა და ქცევის საკითხებში.

2. თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში, სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა უნდა გაითვალისწინოს კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვანი პირის ასაკი

და უნარები, მათ შორის განვითარების დონე, აღქმის და კომუნიკაციის უნარი. გასაუბრების მიზნისა და წესების ახსნისას, სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, უნდა გამოიყენოს მარტივი გამოთქმები. ბავშვს უნდა აეხსნას, რომ იმ შემთხვევაში არ ესმის კითხვის შინაარსი ან პასუხი არ აქვს, შეუძლია განაცხადოს ამის შესახებ.

3. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერის მონაწილეობით.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების არსებით ელემენტებთან დაკავშირებით, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის გამოკითხვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) ასაკი და მისი განვითარების დონე როგორც გასაუბრების, ისე საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებული მოვლენების პერიოდში;

ბ) ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რაც შესაძლოა გამოეწვიოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებაში მითითებულ გარემოებებს;

გ) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის ფლობის შესაძლო შეზღუდვები და სტატუსის დადგენისთვის მისი მნიშვნელობა.

5. თუ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანს არ სურს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისათვის აუცილებელ ფაქტებზე და მოვლენებზე საუბარი, შესაძლებელია, გასაუბრების გადადება ან შეწყვეტა. გასაუბრების შეწყვეტის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

6. თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა გაკეთდეს შესვენებები.

მუხლი 30. სტატუსის დადგენის მიზნით ჩატარებული გასაუბრების ჩაწერა

1. გასაუბრების ჩაწერა ხორციელდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის საშუალებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გასაუბრების მასალების სიზუსტე. აუდიოჩაწერის თაობაზე თავშესაფრის მამიებელს ეცნობება გასაუბრების პროცედურის დაწყების წინ. აუდიოჩაწერა ხორციელდება შემდეგი პროცედურით:

ა) აუდიოჩაწერის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, ირთვება ხმის ჩამწერი მოწყობილობა;

ბ) ხმის ჩამწერი მოწყობილობის ჩართვისას სიტყვიერად ფიქსირდება ჩაწერის დაწყების დრო და თარიღი;

გ) აუდიოჩაწერის დროებით შეჩერების აუცილებლობის შემთხვევაში, სიტყვიერად ფიქსირდება დროებით შეჩერების მიზეზი და მიეთითება დრო. აუდიოჩაწერის განახლებისას, სიტყვიერად ფიქსირდება აუდიოჩაწერის განახლების დრო;

დ) გასაუბრების პროცესის აუდიოჩაწერის დასრულება ფიქსირდება სიტყვიერად და ასევე სიტყვიერად მიეთითება დრო;

ე) გასაუბრების აუდიოჩაწერი ინახება ციფრულ ფორმატში, კომპაქტურ დისკზე, რომელიც ინახება თავშესაფრის მამიებლის პირად საქმეში.

2. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი აწარმოებს გასაუბრების ოქმს, ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-12 პუნქტით დამტკიცებული „სტატუსის დადგენის გასაუბრების ოქმის“ დანართი №14-ის შესაბამისად, რომელშიც მითითებულია შემდეგი მონაცემები:

ა) თავშესაფრის მამიებლის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

ბ) სტატუსის დამდგენი სპეციალისტის სახელი და გვარი;

გ) თარჯიმნის სახელი და გვარი;

დ) კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის სახელი და გვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ე) გასაუბრების დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი;
ვ) სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიერ დასმული შეკითხვები და თავშესაფრის მაძიებლის პასუხები;

ზ) თავშესაფრის მაძიებლის ქცევასთან და არავერბალურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული შენიშვნები.

3. გასაუბრების ოქმში სტატუსის დამდგენი სპეციალისტი შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახავს თავშესაფრის მაძიებლის სიტყვებს და არა მონათხრობის შინაარსს.

მუხლი 31. დოკუმენტების განხილვა სტატუსის დადგენის მიზნით ჩატარებულ გასაუბრებაზე

1. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი განიხილავს თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტების დედნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თავშესაფრის მაძიებლის პირად საქმეში არსებული ასლების დედნებთან იდენტურობის შესამოწმებლად.

2. დოკუმენტის დედნის ნამდვილობის დასადგენად, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი იკვლევს დოკუმენტის შემდეგ მახასიათებლებს:

ა) ქაღალდის ხარისხი და ერთგვაროვნება, რომელზეც შესრულებულია დოკუმენტი;

ბ) გვერდების ნუმერაცია და თანმიმდევრობა;

გ) ფოტოებისა და ხელმოწერების შესაბამისობა თავშესაფრის მაძიებლის ფოტოებსა და ხელმოწერებთან;

დ) მონაცემების გაუფერულება ან ბუნდოვანება;

ე) გათხაპნილი, მთლიანობადადარღვეული ან არასწორი ბეჭდები;

ვ) ფოტოსურათის გვერდიდან განშრევა ან ლამინირებული დაფარვის მთლიანობის დარღვევა.

3. თავშესაფრის მაძიებელს უნდა მიეთითოს დოკუმენტებში გამოვლენილ ყველა სახის ხარვეზზე, რაზეც მან უნდა წარადგინოს შესაბამისი განმარტებები.

4. თუ დოკუმენტის ნამდვილობის დადგენა ვერ ხდება, მაგრამ არ არსებობს საწინააღმდეგოს მტკიცების საფუძველი, ასეთი დოკუმენტი მიღებული უნდა იქნეს, როგორც ნამდვილი.

მუხლი 32. გასაუბრების დასრულება

1. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი გასაუბრების დასრულებისას ვალდებულია:

ა) დარწმუნდეს, მიეცა თუ არა თავშესაფრის მაძიებელს საშუალება, სრულად მიეწოდებინა სტატუსის დადგენისათვის აუცილებელი ყველა გარემოება;

ბ) დაუსვას თავშესაფრის მაძიებელს შეკითხვა, მოწოდებულ ინფორმაციაზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით;

გ) დარწმუნდეს, სრულად არის თუ არა მიწოდებული სტატუსის დადგენისათვის ყველა სახის ინფორმაცია;

დ) განუმარტოს თავშესაფრის მაძიებელს თავშესაფრის პროცედურის შემდგომი ეტაპები. კერძოდ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შედეგები, თავშესაფრის მაძიებლის უფლება, უარყოფითი გადაყვეტილების გასაჩივრებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ და გასაჩივრების წესი.

2. გასაუბრების დასრულებისას, გასაუბრების ოქმს ხელს აწერენ თავშესაფრის მაძიებელი, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი და გასაუბრებაზე დამსწრე სხვა პირები.

მუხლი 33. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვება

1. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე პასუხისმგებელია წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება.

2. სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიმართვის საფუძველზე, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იკვლევს, აგროვებს და სტატუსის დამდგენ სპეციალისტებს აწვდის თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციას.

3. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება ინფორმაციას ობიექტურად და მიუკერძოებლად ამუშავებს. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება, ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების პროცესში, თავისუფალია ზემდგომი სტრუქტურული დანაყოფებისა და თანამდებობის პირების პოლიტიკური ან სხვა ისეთი სახის გავლენისგან, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებს განყოფილების მიერ მომზადებული ინფორმაციის ნეიტრალურობას და მიუკერძოებლობას.

4. წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების განყოფილება ხელმძღვანელობს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-13 პუნქტით დამტკიცებული „წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სტანდარტული ოპერაციული პროცედურების“ - დანართი №15-ის მიხედვით.

მუხლი 34. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე მომზადებული დასკვნის სტრუქტურა

1. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, საქმის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, ამზადებს დასკვნას, თავშესაფრის მაძიებლისთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, რომლის საფუძველია:

- ა) საერთაშორისო დაცვაზე განცხადება;
- ბ) თავშესაფრის მაძიებელთან ჩატარებული ანკეტირება;
- გ) თავშესაფრის მაძიებელთან ჩატარებული გასაუბრება;
- დ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია;
- ე) თავშესაფრის მაძიებლისა და მისი თანმხლები ოჯახის წევრებისაგან მიღებული ინფორმაცია;
- ვ) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია;
- ზ) სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიღებული ინფორმაცია.

2. სამმართველოს მიერ მომზადებული წერილობითი დასკვნა უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს:

- ა) განცხადების მოკლე შინაარსს;
- ბ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალს;
- გ) თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის, მათ შორის, ამ ინფორმაციის რეალურობის, საყოველთოდ ცნობილი ფაქტებისა და წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შეფასებას;
- დ) ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისათვის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას, მათ შორის:
 - დ.ა) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან კავშირის დადგენას;
 - დ.ბ) დევნის საფუძვლიანი შიშის დადგენას, მათ შორის შიშის სუბიექტური და ობიექტური საფუძვლების განსაზღვრას;
 - დ.გ) დევნის ფაქტის დადგენას;
 - დ.დ) დევნის განმახორციელებელი სუბიექტ(ებ)ის დადგენას;
 - დ.ე) დაცვის განმახორციელები სუბიექტ(ებ)ის დადგენას;
 - დ.ვ) შიდა გადაადგილების ალტერნატივის შესაძლო გამოყენების შეფასებას;
 - დ.ზ) გამორიცხვის კრიტერიუმების შესაძლო გამოყენების შეფასებას;
 - დ.თ) ლტოლვილის სტატუსზე უარის თქმის საფუძვლების შესაძლო გამოყენების შეფასებას.

ე) ლტოლვილის სტატუსის დადგენის კრიტერიუმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებისთვის “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობას;

ე.ა) “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან კავშირის დადგენას;

ე.ბ) “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ რეალური რისკის არსებობის დადგენას;

ე.გ) სერიოზული ზიანის განმახორციელებელი სუბიექტ(ებ)ის დადგენას;

ე.დ) დაცვის განმახორციელები სუბიექტ(ებ)ის დადგენას;

ე.ე) შიდა გადაადგილების ალტერნატივის შესაძლო გამოყენების შეფასებას;

ე.ვ) გამორიცხვის კრიტერიუმების შესაძლო გამოყენების შეფასებას;

ე.ზ) ჰუმანიტარულ სტატუსზე უარის თქმის საფუძვლების შესაძლო გამოყენების შეფასებას.

ვ) რეკომენდაციას.

3. დასკვნა მზადდება ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით.

4. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, დასკვნა წარედგინება დეპარტამენტის უფროსს.

მუხლი 35. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადები

1. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ჩვეულებრივი წესით უნდა განიხილოს მისი რეგისტრაციიდან ექვსი თვის ვადაში. განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ცხრა თვის ვადით, როდესაც:

ა) ვლინდება რთული ფაქტობრივი და იურიდიული საკითხები;

ბ) უცხოელების ან მოქალაქეობის არმქონე პირების დიდი რაოდენობა ერთდროულად მიმართავს სამინისტროს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით, რაც ართულებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვას ექვსი თვის ვადაში.

2. შესაბამისი დასაბუთების არსებობისას, გამონაკლის შემთხვევებში, საჭიროებისამებრ შესაძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე განსაზღვრული ვადა გაგრძელდეს დამატებით, არაუმეტეს 3 თვისა, რათა მოხდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ადეკვატური და სრულყოფილი განხილვა.

3. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა შესაძლოა გადავადდეს მაშინ, როდესაც შეუძლებელია საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში, თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანაში არსებული გაურკვეველი მდგომარეობის გამო, რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია:

ა) შეისწავლოს წარმოშობის ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ექვს თვეში ერთხელ;

ბ) საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის გადავადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში თავშესაფრის მაძიებელს აცნობოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის გადავადების მიზეზების შესახებ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებით მომართვიდან 21 თვეს.

5. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა შეუძლებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ექვსი თვის ვადაში, უფლებამოსილი თანამდებობის პირი ვალდებულია, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე

გადაწყვეტილების მიღებიდან 6 სამუშაო დღის ვადაში, თავშესაფრის მამიებელს აცნობოს განხილვის ვადის გაგრძელების, გაგრძელების მიზეზებისა და გაგრძელებული ვადის თაობაზე, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

6. ჩვეულებრივი წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის უფროსი.

7. გაძევების პროცედურაში მყოფი პირის მიერ გაკეთებული საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს მისი რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

8. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებული საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს სამინისტროს მიერ საექსტრადიციო დოკუმენტაციის მიღების დღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

9. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაუშვებელია საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის გაგრძელება.

10. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება დაჩქარებული წესით განიხილება მისი რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში.

11. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების შესწავლისას გამოიკვეთა დამატებითი გარემოებები, რის შედეგად საქმე საჭიროებს დამატებით შესწავლას და მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება დაჩქარებული წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისთვის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განხილული უნდა იქნეს ჩვეულებრივი წესით საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვისთვის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 36. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების დაჩქარებული წესით განხილვა

1. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება დაჩქარებული წესით განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ იგი:

ა) არის აშკარად დაუსაბუთებელი;

ბ) ყალბი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე სამინისტროს შეცდომაში შეყვანის გზით თავშესაფრის მამიებელი ბოროტად იყენებს თავშესაფრის პროცედურას.

2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადება ითვლება აშკარად დაუსაბუთებლად, თუ:

ა) მასში მოცემული ინფორმაცია არ არის კავშირში „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-19 მუხლებით განსაზღვრულ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საფუძვლებთან;

ბ) თავშესაფრის მამიებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის შეუსაბამო, წინააღმდეგობრივი, ან არარეალური, სავარაუდო დევნის ან სერიოზული ზიანის რეალური რისკის დასადგენად;

გ) თავშესაფრის მამიებელი მალავს ინფორმაციას საკუთარი ვინაობის ან/და წარმოშობის ქვეყნის შესახებ;

დ) თავშესაფრის მამიებელი უარს აცხადებს სამინისტროსთან თანამშრომლობაზე ან სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდებაზე.

3. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საკითხს წყვეტს სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსი, ანკეტირების პროცედურის ჩატარებისა და საქმის წარმოების მასალების მიღების შემდეგ 2 სამუშაო დღის ვადაში.

4. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების დაჩქარებული წესით განხილვის საჭიროების გამოვლენისას, სტატუსის დადგენის განყოფილების უფროსი დაუყოვნებლივ გადასცემს საქმეს შესაბამის სტატუსის დამდგენ სპეციალისტს.

5. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების დაჩქარებული წესით განხილვისას გამოიყენება საერთაშორისო დაცვაზე განცხადების ჩვეულებრივი წესით განხილვისთვის დადგენილი ყველა მოთხოვნა და პროცედურა.

მუხლი 37. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და შეტყობინება

1. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, მომზადებული დასკვნის საფუძველზე, ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, რომელსაც ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი.

2. ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება თავშესაფრის მაძიებელს ეგზავნება/გადაეცემა 3 სამუშაო დღის ვადაში (ქართულად და ნათარგმნი მისთვის გასაგებ ენაზე), გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციის მითითებით.

3. თავშესაფრის მაძიებლის მიზეზით სამინისტროს გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება სამინისტროში ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

4. პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული თავშესაფრის მაძიებლის შემთხვევაში, შეტყობინება ეგზავნება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თავშესაფრის მაძიებლისთვის გადაცემის მიზნით.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი თავშესაფრის მაძიებლის შემთხვევაში, შეტყობინება ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თავშესაფრის მაძიებლისთვის გადაცემის მიზნით.

6. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა/ეგზავნება მის მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს.

7. თავშესაფრის მაძიებელი ხელმოწერით ადასტურებს სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, როგორც ქართულ, ისე მისთვის გასაგებ ენაზე ჩაბარების ფაქტს, ჩაბარების თარიღის მითითებით.

მუხლი 38. გადაწყვეტილება ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელების თაობაზე

1. ჰუმანიტარული სტატუსი უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ენიჭება ერთი წლის ვადით და სამინისტროს გადაწყვეტილებით, ის შეიძლება იმავე ვადით არაერთგზის გაგრძელდეს, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს ეს სტატუსი მიენიჭა.

2. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი იწყებს ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელების შესაძლებლობის საკითხის განხილვის პროცედურას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

3. ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქმის შესაბამის მასალებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღების მომენტში არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

4. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირს, მისთვის გასაგებ ენაზე, უნდა შეატყობინოს მინიჭებული სტატუსის გაგრძელების შესაძლებლობის საკითხის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული შეტყობინების ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ სამინისტროში წარდგენილ მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიზეზით სამინისტროს შეტყობინების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შეტყობინება მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება სამინისტროში ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

5. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება გადაეცემა/ეგზავნება მეურვეს /მზრუნველს/მხარდამჭერს ან ჰუმანიტარული სტატუსის გაგრძელების შესაძლებლობის საკითხის განხილვის პროცედურის დაწყების თაობაზე ინფორმაცია ეცნობება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სხვა საშუალებით.

6. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს გასაუბრების ჩატარება ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთან მისთვის მინიჭებული სტატუსის გახანგრძლივების შესაძლებლობის საკითხის განხილვის პროცედურის დაწყებიდან ათი დღის ვადაში, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს ინფორმაცია, რომელიც ასაბუთებს ამ პირისათვის შესაბამისი სტატუსის გახანგრძლივების საჭიროებას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული გასაუბრება არ ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი. ჰუმანიტარული სტატუსის გახანგრძლივების თაობაზე გადაწყვეტილება ამ პირს ეგზავნება/გადაეცემა 3 სამუშაო დღის ვადაში (ქართულად და ნათარგმნი მისთვის გასაგებ ენაზე).

8. იმ შემთხვევაში, თუ ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთან დაკავშირება შეუძლებელია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით ან პირი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, მინიჭებული სტატუსის გახანგრძლივების ან გახანგრძლივებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

9. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ იგი დაუკავშირდება და გამოცხადდება სამინისტროში და გამოუცხადებლობის მიზეზებზე წარადგენს სათანადო განმარტებებს, მათი გამოკვლევის შედეგად სტატუსის დამდგენი სპეციალისტი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და გასაუბრების დანიშვნის თაობაზე.

10. შესაძლებლობის შემთხვევაში, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთან გასაუბრებას ატარებს იმავე სქესის სტატუსის დამდგენი სპეციალისტი და უზრუნველყოფილია იმავე სქესის თარჯიმანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი არ ითხოვს განსხვავებული სქესის სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიერ საქმის განხილვას ან თარჯიმნით უზრუნველყოფას.

11. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთან გასაუბრება ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლის/მეურვის/მზრუნველის/ მხარდამჭერის თანდასწრებით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

12. ზრუნველყოფილი იყოს გასაუბრების მასალის სიზუსტე. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა გასაუბრების მასალები ინახება ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის პირად საქმეში.

13. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გახანგრძლივების შესაძლებლობის საკითხზე გასაუბრების მიმდინარეობისას, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი იკვლევს ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ წარდგენილ ინფორმაციას და მტკიცებულებებს.

14. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გახანგრძლივების პროცედურის დასრულებამდე, ეს პირი სარგებლობს მის სტატუსთან დაკავშირებული ყველა უფლებით და ეკისრება შესაბამისი მოვალეობები.

15. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გახანგრძლივებაზე უარის თქმის შესახებ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას ამ პირს უგზავნის/გადასცემს 3 სამუშაო დღის ვადაში (ქართულად და ნათარგმნს მისთვის გასაგებ ენაზე), „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გასაჩივრების წესის მითითებით.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ სამინისტროში წარდგენილ მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიზებით გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება სამინისტროში ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

17. ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი ხელმოწერით ადასტურებს სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, როგორც ქართულ, ისე მისთვის გასაგებ ენაზე, ჩაბარების ფაქტს, ჩაბარების თარიღის მითითებით.

თავი IV

ოჯახის ერთიანების პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო დაცვაზე განცხადებების განხილვა

მუხლი 39. ოჯახის ერთიანობის პრინციპზე დაფუძნებული წარმოებული სტატუსის განხილვა

1. ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის თანმხლებ ოჯახის წევრ(ებ)ს ენიჭება საერთაშორისო დაცვის იგივე ფორმა, რაც მინიჭებული აქვს საერთაშორისო დაცვის მქონე პირს.

2. წარმოებული სტატუსის მინიჭების პროცედურის დაწყებისთვის, თავშესაფრის მაძიებელმა ან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა წერილობით უნდა მიმართოს სამინისტროს.

3. თავშესაფრის მაძიებელმა ან საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს ოჯახური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ოჯახის ყველა წევრს უფლება აქვს საერთაშორისო დაცვაზე მისი განცხადება განხილულ იქნეს ინდივიდუალურად.

5. თუ უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მიენიჭა ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან გაუხანგრძლივდა ჰუმანიტარული სტატუსი ან დროებითი დაცვის ვადა, მაშინ მასთან ერთად მყოფ ოჯახის წევრებსაც, ისევე როგორც არასრულწლოვნებს, რომელთა კანონიერი წარმომადგენელიც/მეურვეც/მზრუნველიც/მხარდამჭერიც არის ეს პირი, ენიჭება ლტოლვილის ან ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, ან უგრძელდება ჰუმანიტარული სტატუსი ან დროებითი დაცვის ვადა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 ან მე-18 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლები.

6. წარმოებული სტატუსის მოთხოვნის უფლება გააჩნიათ საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის შემდეგ წევრებს:

ა) მეუღლე, ან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პარტნიორი;

ბ) ამ პირთა არასრულწლოვანი შვილები რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ქორწინებიდან და წარმოშობის ქვეყნის სამართლის საფუძველზე შვილად აყვანილი არასრულწლოვნები;

გ) დედა, მამა ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი (მხარდამჭერი პირი) განსაზღვრული წარმოშობის ქვეყნის სამართლით ან წარმოშობის ქვეყანაში არსებული პრაქტიკით;

დ) თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ან მისი მეუღლის მშობლები და დასაოჯახებელი სრულწლოვანი შვილები, რომლებიც მასზე არიან დამოკიდებული;

ე) ან მხარდაჭერის მიმღები პირ(ებ)ი.

7. თავშესაფრის მაძიებლის ოჯახის წევრის უფლება, მოიპოვოს წარმოებული სტატუსი ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლოა დადგინდეს როგორც თავშესაფრის პროცედურის მსვლელობისას, ისე დამოუკიდებლად - თავშესაფრის მაძიებლისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების შემდეგ.

8. წარმოებული სტატუსის მოსაპოვებლად გასაუბრება ტარდება თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის ყველა სრულწლოვან წევრთან.

9. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, წარმოებული სტატუსის მინიჭების მიზნით, ოჯახური კავშირის დასადგენად, იკვლევს თავშესაფრის პროცედურაში ამ მიზნით წარდგენილ დოკუმენტაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და გარემოებებს.

10. წარმოებული სტატუსის მინიჭებისათვის ჩატარებულ გასაუბრებაზე, ოჯახური კავშირის დასადასტურებლად, წარმოდგენილი უნდა იყოს ოჯახის წევრობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დედნები ან კითხვადი-აღქმადი ასლები (ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა და ა.შ), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

11. ოჯახური კავშირის დასადასტურებლად დოკუმენტაციის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი გამოკითხავს ოჯახის წევრებს ოჯახის შემადგენლობასა და ცხოვრების პირობების შესახებ როგორც წარმოშობის ქვეყანაში, ისე საქართველოში ყოფნის პერიოდში, მათ შორის:

ა) ურთიერთობის ხანგრძლივობის და ხასიათის შესახებ;

ბ) ფინანსური, იურიდიული ან სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მათ აღებული აქვთ ერთმანეთის მიმართ.

12. წარმოებული სტატუსის მისანიჭებლად ჩატარებული გასაუბრების შესახებ დგება ოქმი, რომელიც ინახება თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პირად საქმეში.

13. საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ოჯახის წევრისთვის წარმოებული სტატუსის მინიჭების თაობაზე სამინისტროსთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, წარმოებული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხს განიხილავს ერთი თვის ვადაში.

მუხლი 40. ოჯახის გაერთიანება

1. ოჯახის გაერთიანების პროცედურის დაწყებისთვის, საერთაშორისო დაცვის მქონე პირი წერილობით მიმართავს სამინისტროს.

2. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნისთვის „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და ამ პროცედურით დადგენილი წესით საერთაშორისო დაცვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შემდეგ, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის და არასრულწლოვნის თანხმობით, არასრულწლოვნის

საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ იწყებს ოჯახის გაერთიანების პროცედურას.

3. ოჯახის გაერთიანების თაობაზე განცხადებას საერთაშორისო დაცვის მქონე პირმა თან უნდა დაურთოს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი ყველა შესაძლო მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ოჯახური კავშირების დადგენის მიზნით, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, ერთი თვის ვადაში განიხილავს ოჯახის გაერთიანების თაობაზე განცხადებას თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი, დეპარტამენტის უფროსის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საშუალებით ახდენს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრთა მოძიებას, ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში.

6. ოჯახური კავშირის დადგენის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსი მიმართავს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრების მოძიების და მათთვის ვიზის გაცემის თაობაზე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

7. ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ოჯახის წევრს ენიჭება საერთაშორისო დაცვის იგივე ფორმა, რაც მინიჭებული აქვს ამ პირს.

8. პირს შეიძლება უარი ეთქვას ოჯახის გაერთიანებაზე, თუ ოჯახის წევრის მიმართ არსებობს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-18 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები.

თავი V.

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეჩერება, შეწყვეტა და განახლება. საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადება

მუხლი 41. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეჩერება, შეწყვეტა და განახლება

1. უფლებამოსილი თანამდებობის პირი აჩერებს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვას, თუ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით ვერ ხერხდება თავშესაფრის მაძიებელთან დაკავშირება და მას არ გადაუკვეთავს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა შეჩერდება 6 თვის ვადით. აღნიშნულის თაობაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირი იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის თაობაზე, თუ თავშესაფრის მაძიებელი:

ა) „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად გაიხმობს საერთაშორისო დაცვაზე განცხადებას;

ბ) თავშესაფრის მაძიებელი უარს აცხადებს სამინისტროსთან თანამშრომლობაზე;

გ) არასაკმაყოფილო მიზეზით, შეტყობინების იგნორირებით, არ გამოცხადდება ანკეტირებაზე ან გასაუბრებაზე ორჯერ;

დ) დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, გამოიცვლის საცხოვრებელ ადგილს და აღნიშნულის თაობაზე არ აცნობებს სამინისტროს სამი თვის განმავლობაში;

ე) უარს აცხადებს თითის ანაბეჭდების აღებაზე;

ვ) გარდაიცვლება;

ზ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის ვადის გასვლამდე არ გამოცხადდება სამინისტროში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ფსიქიკური აშლილობის მქონე თავშესაფრის მადიებლის საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა არ შეწყდება.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავშესაფრის მადიებელს უნდა განემარტოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გახმობით მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-7 პუნქტით დამტკიცებული დანართი №8-ის შესაბამისად, რაც თავშესაფრის მადიებელმა უნდა დაამოწმოს ხელმოწერით.

5. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეჩერების ან შეწყვეტის შემდგომ თავშესაფრის მადიებელს უნდა მიეცეს გამოუცხადებლობის მიზეზებზე განმარტების გაკეთებისა და საპატიო მიზეზების წარდგენის შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის განახლების შესაძლებლობა.

6. განცხადებაზე წარმოების შეჩერების, შეწყვეტისა და განახლების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

მუხლი 42. საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადება

1. უწყდა, გაუქმდა ან ჩამოერთვა, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც თავშესაფრის პროცედურა საქართველოში დასრულდა, შეუძლია საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების წარდგენა, როდესაც:

ა) მისი წარმოშობის ქვეყანაში ადგილი აქვს ისეთი ხასიათის ცვლილებებს, რომლებიც მისი საერთაშორისო დაცვის საჭიროებას წარმოშობს;

ბ) არსებობს ახალი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არ ყოფილა განხილული საერთაშორისო დაცვაზე პირველად განცხადებაში მოცემული გარემოებების შეფასებისას და რომლებიც თავშესაფრის მადიებლის ბრალის გარეშე არ იქნა წარდგენილი.

2. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი წინასწარ იკვლევს საერთაშორისო დაცვაზე განმეორებით განცხადებას, შეისწავლის და აფასებს წარდგენილ განმარტებებს და ახალ გარემოებებს, რათა თავშესაფრის მადიებლის წარმოშობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნებით არ მოხდეს არგამეცების პრინციპისა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევა.

3. ახალი გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, სტატუსის დამდგენი სპეციალისტი იწყებს ამ პროცედურით გათვალისწინებულ ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პროცედურას.

4. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი პრიორიტეტს ანიჭებს საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების განხილვას, შეფასებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

5. თუ საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების განხილვის შემდეგ დადგინდება, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა არ შეიცავს ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ გარემოებებს, საქმის ხელახლა განხილვის გარეშე მიღებული იქნება საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადების განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

6. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობისას, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით განმეორებით მიმართვის შემთხვევაში, თავშესაფრის მადიებელმა უნდა მიუთითოს განმეორებით მიმართვის საფუძველი, ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-14 პუნქტით დამტკიცებული „საერთაშორისო დაცვაზე განმეორებითი განცხადებით“ - დანართი №16-ის შესაბამისად.

თავი VI.

ლტოლვილის, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა

მუხლი 43. ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. პირს შეუწყდება ლტოლვილის სტატუსი, თუ:

- ა) მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა;
- ბ) ნებაყოფლობით ისარგებლა თავისი წარმოშობის ქვეყნის დაცვით;
- გ) მოქალაქეობის დაკარგვის შემდეგ ნებაყოფლობით კვლავ მოიპოვა წარმოშობის ქვეყნის მოქალაქეობა;
- დ) მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და სარგებლობს ამ ქვეყნის მფარველობით;
- ე) ნებაყოფლობით დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც იმყოფებოდა დევნის შიშის გამო;
- ვ) მას არ შეუძლია უარი თქვას თავისი წარმოშობის ქვეყნის მფარველობაზე, რამდენადაც აღარ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც მას მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი;
- ზ) იგი პირადი განცხადებით მიმართავს სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით;
- თ) “საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით ვერ ხერხდება ლტოლვილთან დაკავშირება და ამასთან მან გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;
- ი) პირი გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება ლტოლვილის სტატუსის მქონე პირზე, თუ ადრინდელი დევნის გათვალისწინებით, მას შეუძლია წარადგინოს დასაბუთებული მიზეზები წარმოშობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე უარის თქმის თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლტოლვილის სტატუსი შეწყდება ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლიდან 1 წლის შემდეგ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი სამინისტროს მიმართავს ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-15 პუნქტით დამტკიცებული „ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე“ განცხადებით – დანართი №17-ის შესაბამისად.

5. პირისათვის მინიჭებული ლტოლვილის სტატუსი შეწყვეტა არის მასზე გაცემული ბინადრობის მოწმობის და სამგზავრო დოკუმენტის გაუქმების საფუძველი.

მუხლი 44. ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები

1. პირს შეუწყდება ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი, თუ:

- ა) მოიპოვა საქართველოს მოქალაქეობა;
- ბ) მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და სარგებლობს ამ ქვეყნის მფარველობით;
- გ) ნებაყოფლობით დამკვიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც დატოვა ან რომლის ფარგლებს გარეთაც იმყოფებოდა სერიოზული ზიანის გამო;
- დ) მას არ შეუძლია უარი თქვას თავისი წარმოშობის ქვეყნის მფარველობაზე, რამდენადაც აღარ არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც მას მიენიჭა ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი;
- ე) მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი;

ვ) იგი პირადი განცხადებით მიმართავს სამინისტროს ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით;

ზ) “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით ვერ ხერხდება ჰუმანიტარული სტატუსის მქონე ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირთან დაკავშირება და ამასთან მან გადააკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;

თ) პირი გარდაიცვალა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე, თუ ადრინდელი სერიოზული ზიანის გათვალისწინებით, მას შეუძლია წარადგინოს დასაბუთებული მიზეზები წარმომობის ქვეყნის მფარველობით სარგებლობაზე უარის თქმის თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი შეწყდება ბინადრობის მოწმობის ვადის გასვლიდან 6 თვის შემდეგ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირი სამინისტროს მიმართავს ამავე ბრძანების პირველი მუხლის მე-15 პუნქტით დამტკიცებული „ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის თაობაზე“ განცხადებით – დანართი №18-ის შესაბამისად ან „დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე“ განცხადებით – დანართი №19-ის შესაბამისად.

5. პირისათვის მინიჭებული ჰუმანიტარული ან დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის შეწყვეტა არის ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გაცემული ბინადრობის მოწმობის და სამგზავრო პასპორტის, ხოლო დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირზე გაცემული დროებითი ბინადრობის მოწმობის გაუქმების საფუძველი.

მუხლი 45. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გაუქმების ან ჩამორთმევის საფუძველები

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირს მინიჭებული სტატუსი გაუქმდება, თუ ცნობილი გახდა, რომ ის არ აკმაყოფილებდა “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15, მე-19 ან 21-ე მუხლების მოთხოვნებს ან მან წარადგინა არასწორი ინფორმაცია და ყალბი დოკუმენტაცია, კერძოდ:

ა) პირმა არასწორად წარმოაჩინა ან დამალა არსებითი ფაქტობრივი გარემოებები;

ბ) გამოიკვეთა ახალი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ პირზე არ უნდა გავრცელებულიყო საერთაშორისო დაცვა;

გ) სხვა ბინადრობის ქვეყნის უფლებამოსილი უწყების მიერ აღიარებული იყო ისეთი უფლება-მოვალეობების მქონედ, რომლებიც გააჩნიათ იმ ქვეყნის მოქალაქეებს და შესაბამისად არ საჭიროებდა საერთაშორისო დაცვას;

დ) არ საჭიროებდა საერთაშორისო დაცვას ან არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მან ჩაიდინა “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ქმედებები.

2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირს მინიჭებული სტატუსი ჩამორთმევა, თუ საერთაშორისო დაცვის მიღების შემდეგ პირი მსჯავრდებულია საქართველოში მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის ან არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ იგი საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას და საზოგადოებრივ წესრიგს.

3. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსი ჩამორთმევა ან გაუქმება არის მასზე გაცემული ბინადრობის მოწმობის და სამგზავრო დოკუმენტის/სამგზავრო პასპორტის გაუქმების საფუძველი. .

მუხლი 46. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურა

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურას იწყებს სტატუსის დამდგენი სპეციალისტი.

2. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა საერთაშორისო დაცვის მქონე პირს, მისთვის გასაგებ ენაზე, უნდა შეატყობინოს მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დაწყების შესახებ, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აღნიშნული შეტყობინების საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ სამინისტროში წარდგენილ მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში პროცედურა დაწყებულად ჩაითვლება შეტყობინების საერთაშორისო დაცვის მქონე პირისთვის ჩაბარების დღიდან. საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიზეზით შეტყობინების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, შეტყობინება მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება სამინისტროში ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

3. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი არასრულწლოვნის ან იმ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის ყოლას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება გადაეცემა/გზავნება მეურვეს /მზრუნველს/მხარდამჭერს ან სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დაწყების შესახებ ინფორმაცია ეცნობება „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სხვა საშუალებით.

4. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი უზრუნველყოფს ინდივიდუალურ გასაუბრებას საერთაშორისო დაცვის მქონე თითოეულ სრულწლოვან პირთან მისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში, რათა მას მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს ინფორმაცია და გააკეთოს განმარტებები იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც დაიწყო მისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურა, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც ასაბუთებს ამ პირისათვის შესაბამისი სტატუსის გახანგრძლივების საჭიროებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან დაკავშირება შეუძლებელია „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წესით ან პირი არ გამოცხადდა გასაუბრებაზე, მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა მოხდება არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

6. საერთაშორისო დაცვის მქონე პირის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუ იგი დაუკავშირდება და გამოცხადდება სამინისტროში და გამოუცხადებლობის მიზეზებზე წარადგენს სათანადო განმარტებებს, მათი გამოკვლევის შედეგად დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და გასაუბრების დანიშვნის თაობაზე.

7. შესაძლებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის მიზნით გასაუბრება ტარდება იმავე სქესის სტატუსის დამდგენი სპეციალისტის და თარჯიმნის მონაწილეობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საერთაშორისო დაცვის მქონე პირი არ ითხოვს განსხვავებული სქესის სტატუსის დამდგენი სპეციალისტის მიერ საქმის განხილვას ან თარჯიმანს.

8. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის მიზნით გასაუბრება ტარდება მისი კანონიერი წარმომადგენლის/ მეურვის/ მზრუნველის/ მხარდამჭერის თანდასწრებით, ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

9. გასაუბრების მასალის სიზუსტის უზრუნველსაყოფად, გასაუბრების ჩაწერა ხდება წერილობით და ხმის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებით, . გასაუბრების მასალები ინახება საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პირად საქმეში.

10. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხზე გასაუბრების მიმდინარეობისას სტატუსის დამდგენი სპეციალისტი იკვლევს იმ ინფორმაციას, რომელიც უტყუარად ასაბუთებს ამ პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის კანონიერებას, ასევე საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ წარდგენილ ინფორმაციას და მტკიცებულებებს.

11. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის დასრულებამდე, ეს პირი სარგებლობს მის სტატუსთან დაკავშირებული ყველა უფლებით და ეკისრება შესაბამისი მოვალეობები.

მუხლი 47. გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ

1. სტატუსის დამდგენი სპეციალისტი საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას წერილობით უგზავნის/გადასცემს 3 სამუშაო დღის ვადაში (ქართულად და ნათარგმნს მისთვის გასაგებ ენაზე), „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარების შესაძლებლობისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გასაჩივრების წესის მითითებით.

2. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის გაუქმების ან ჩამორთმევის გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის უფროსი, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ სამინისტროში წარდგენილ მისამართზე გაგზავნის შემდეგ, საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიხედვით გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება სამინისტროში ჩაუბარებლობის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან.

4. საერთაშორისო დაცვის მქონე პირი ხელმოწერით ადასტურებს სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების, როგორც ქართულ, ისე მისთვის გასაგებ ენაზე, ჩაბარების ფაქტს, ჩაბარების თარიღის მითითებით.

მუხლი 48. წარმოებული სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა

1. საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტა, გაუქმება ან ჩამორთმევა იწვევს ამ პირის ოჯახის წევრ(ებ)ის წარმოებული სტატუსის შეწყვეტას, გაუქმებას ან ჩამორთმევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის წევრ(ებ)ი აკმაყოფილებ(ენ)ს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 ან მე-19 მუხლებით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების საფუძველებს. ოჯახის წევრებისათვის წარმოებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საკითხს სტატუსის დამდგენი სპეციალისტი განიხილავს ინდივიდუალურად, ამ პროცედურით გათვალისწინებული საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის პროცედურის შესაბამისად.

2. სტატუსის დამდგენმა სპეციალისტმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, რომელთაც შეუწყდათ, გაუუქმდათ ან ჩამოერთვათ წარმოებული სტატუსი, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ და ასევე აცნობოს, რომ ეს გადაწყვეტილება გავლენას არ ახდენს მათ უფლებაზე, მოითხოვონ საერთაშორისო დაცვა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი VII.

თავშესაფრის პროცედურით გათვალისწინებული სამინისტროს გადაწყვეტილების სახელმწიფო დაწესებულებებისათვის შეტყობინების წესი

მუხლი 49. თავშესაფრის პროცედურით გათვალისწინებული გადაწყვეტილების სახელმწიფო დაწესებულებებისათვის შეტყობინება

1. თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი რეაგირებისათვის.

2. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ თავშესაფრის მაძიებლისათვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ეგზავნება საქართველოს მთავარ პროკურატურას, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი რეაგირებისათვის.

3. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ეგზავნება სამინისტროს მიერ მიღებული თავშესაფრის მაძიებლისათვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის და საერთაშორისო დაცვის მქონე პირისათვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, იმ მიზნით რომ განხორციელდეს მათზე გაცემული დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის, დროებითი ბინადრობის მოწმობისა და სამგზავრო დოკუმენტის/სამგზავრო პასპორტის გაუქმება.

თავი VIII.

ქვეყანაში მასობრივი შემოსვლის დროს საერთაშორისო დაცვის მინიჭება და თავშესაფრის მაძიებელთა დიდი ოდენობით შემოსული განაცხადებების ეფექტური მართვა

მუხლი 50. ქვეყანაში მასობრივი შემოსვლის დროს თავშესაფრის მაძიებელ პირთათვის „Prima facie“ პრინციპით, ლტოლვილის სტატუსის მინიჭება და რეგისტრაცია

1. იმ პირთა მასობრივი შემოსვლის შემთხვევაში, რომლებიც აკმაყოფილებენ „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ პირობებს, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებას აღიაროს ლტოლვილები ჯგუფური პრინციპით („prima facie“), მათი წარმოშობის ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. წარმოშობის ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის შეფასებისას, სამინისტრო ხელმძღვანელობს პირთა ჯგუფის წინააღმდეგ განხორციელებული ისეთი ქმედებების არსებობით, რომელიც „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნიშნებით წარმოადგენს დევნას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაუყოვნებლივ იქმნება კომისია, რომელიც ახორციელებს შემოსულ პირთა რეგისტრაციას. რეგისტრაციის მიზნით ამ პირებზე გროვდება შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი;

- ბ) დაბადების თარიღი და ადგილი;
- გ) სქესი;
- დ) ეროვნება;
- ე) წარმოშობის ქვეყანა;
- ვ) დევნის საფუძველი;
- ზ) ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი წარმოშობის ქვეყანაში;
- თ) ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი საქართველოში;
- ი) რელიგია;
- კ) მშობლიური ენა/მისთვის გასაგები სხვა ენა;
- ლ) საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- მ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
- ნ) სამხედრო სამსახური;
- ო) ინფორმაცია საბრძოლო ქმედებებში მონაწილეობის შესახებ;
- პ) ინფორმაცია პირის ნასამართლეობის, პატიმრობის, დაკავებისა და ძებნის შესახებ;
- ჟ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- რ) ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ.

4. თუ საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტის უქონლობის გამო გართულდა ან შეუძლებელია კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტა, მისი მოპოვების მიზნით კომისიას უფლება აქვს მიმართოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებსა და უწყებებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებს ან კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ამ უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

5. „Prima facie“ პრინციპით ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის ვადაა ერთი თვე. საჭიროების შემთხვევაში, ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს არა უმეტეს 2 თვით.

6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობის, ან წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასთან დაკავშირებით ეჭვის არსებობისას, პიროვნების ვინაობის დადგენას ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე შექმნილი კომისია.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემოსულმა სრულწლოვანმა პირებმა უნდა წარადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მისი არქონის შემთხვევაში – წარმოშობის ქვეყნის ტერიტორიაზე სათანადო ორგანოს მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემოსულ არასრულწლოვნებზე წარდგენილი უნდა იყოს დაბადების მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. მასობრივად შემოსულ პირთა რეგისტრაციის შემდეგ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი გადასცემს მათ კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ადასტურებს მათთვის „Prima facie“ პრინციპით, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას და კანონიერ ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 51. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების საფუძველები და პროცედურა

1. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, სამინისტრო არეგისტრირებს მასობრივად შემოსულ პირებს და გადაწყვეტილებას იღებს მასობრივად შემოსული ჯგუფის წევრებისათვის დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომელიც საჭიროებს საერთაშორისო დაცვას და არ შეუძლია საკუთარი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება განურჩეველი ძალადობის, აგრესიის, საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტების ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაუყოვნებლივ იქმნება კომისია, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემოსულ პირთა რეგისტრაციას. რეგისტრაციის მიზნით ამ პირებზე გროვდება შემდეგი ინფორმაცია:

- ა) სახელი, გვარი;
- ბ) დაბადების თარიღი და ადგილი;
- გ) სქესი;
- დ) ეროვნება;
- ე) თითის ანაბეჭდები;
- ვ) წარმოშობის ქვეყანა;
- ზ) დევნის საფუძველი;
- თ) ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი წარმოშობის ქვეყანაში;
- ი) ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი საქართველოში;
- კ) რელიგია;
- ლ) მშობლიური ენა/მისთვის გასაგები სხვა ენა;
- მ) საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ნ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
- ო) სამხედრო სამსახური;
- პ) ინფორმაცია საბრძოლო ქმედებებში მონაწილეობის შესახებ;
- ჟ) ინფორმაცია პირის ნასამართლეობის, პატიმრობის, დაკავებისა და ძებნის შესახებ;
- რ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ს) ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ.

3. თუ საჭირო ინფორმაციის ან დოკუმენტის უქონლობის გამო გართულდა ან შეუძლებელია კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტა, მისი მოპოვების მიზნით კომისიას უფლება აქვს მიმართოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებსა და უწყებებს, აგრეთვე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს ან კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ამ უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დროებითი დაცვის მინიჭების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის ვადაა ერთი თვე. საჭიროების შემთხვევაში, ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს არა უმეტეს 2 თვით.

5. დროებითი დაცვის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პირის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში და ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რეგისტრაციისას შეგროვებული ინფორმაცია.

6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობის, ან წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასთან დაკავშირებით ეჭვის არსებობისას, პიროვნების ვინაობას ადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომისია.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემოსულმა სრულწლოვანმა პირებმა უნდა წარადგინონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან მისი არქონის შემთხვევაში – წარმოშობის ქვეყნის ტერიტორიაზე სათანადო ორგანოს მიერ გაცემული საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემოსულ არასრულწლოვანზე წარდგენილი უნდა იყოს დაბადების მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. მასობრივად შემოსულ პირთა რეგისტრაციის შემდეგ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი გადასცემს მათ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მათთვის დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭებას და კანონიერ ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე.

10. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს მიმართოს სამინისტროს მხოლოდ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით “საერთაშორისო დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საერთაშორისო დაცვაზე განცხადება განიხილება ამ პროცედურით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

12. დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსის მინიჭება ხდება ერთი წლის ვადით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში, დროებითი დაცვის ვადა შესაძლებელია გახანგრძლივდეს, სამინისტროს გადაწყვეტილებით, იმავე ვადით, არაერთგზის, თუ კვლავ არსებობს გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც პირს ეს სტატუსი მიენიჭა.

მუხლი 52. სამინისტროში თავშესაფრის მაძიებელთა დიდი ოდენობით შემოსული განაცხადებების ეფექტური მართვა.

სამინისტროსადმი დიდი ოდენობით თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმართვის შემთხვევაში, დაგროვებული საერთაშორისო დაცვაზე განაცხადებების ეფექტურად მართვის მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაუყოვნებლივ იქმნება კომისია, რომელიც:

- ა) ახდენს საკითხთან დაკავშირებული რისკის შეფასებას;
- ბ) უზრუნველყოფს საერთაშორისო დაცვაზე განაცხადებების დახარისხებას ტერიტორიული, რაოდენობრივი, მიზეზობრივი ნიშნით და წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებულ ინფორმაციასთან შეჯერების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების შესახებ;
- გ) ადგენს დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოზიდვის საჭიროებას.

დანართი №2

თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნის ქცევის წესები

1. შესავალი

უფლებამოსილი თანამდებობის პირი თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას ეყრდნობა თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ნათქვამის ნათარგმნ ვერსიას და მასზე ამყარებს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის, საერთაშორისო დაცვის მქონე პირისთვის მინიჭებული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის თაობაზე დასკვნას. არაკვალიფიციურმა, არაკეთილსინდისიერმა ან არასწორმა თარგმანმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სამინისტროს შესაბამის გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვალიფიციური თარგმანის უზრუნველყოფის მიზნით, თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმნები ვალდებული არიან დაიცვან თავშესაფრის პროცედურით და წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული წესები.

2. კონფიდენციალურობა

2.1. თარჯიმანი ვალდებულია დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამინისტროში თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებისას და არ გადასცეს ეს ინფორმაცია სხვა პირებს, გარდა უფლებამოსილი თანამდებობის პირისა. თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის

ვალდებულება ვრცელდება თარჯიმანსა და სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დასრულების შემდეგაც.

2.2. თარჯიმანი ვალდებულია დაიცვას თავშესაფრის პროცედურების დროს მის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მედიის წარმოდგენლების ან სხვა დაინტერესებული პირების მიერ მისთვის მიმართვის შემთხვევაში და აღნიშნულის შესახებ აცნობოს თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსს. 2.3. ზემოაღნიშნული მოთხოვნების უგულვებელყოფისა და კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, თარჯიმანი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მიუკერძოებლობა და ნეიტრალურობა

3.1. თავშესაფრის პროცედურაში ჩართული თარჯიმანი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი და ნეიტრალური.

3.2. მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის უზრუნველსაყოფად თარჯიმანი ვალდებულია:

3.2.1. არ შეაფასოს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სანდოობა. მათ შორის, თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სანდოობის ან ეთნიკური წარმომავლობის შესახებ არ გამოთქვას შეხედულება, არ გააკეთოს კომენტარი ან არ მოახდინოს პირადი აზრის დემონსტრირება;

3.2.2. არ დაიკავოს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის პოზიცია;

3.2.3. არ მიიღოს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის თხოვნა, სამინისტროს შენობის გარეთ შეხვედრასთან ან ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში მისი მიუკერძოებლობის დარღვევა;

3.2.4. უფლებამოსილ თანამდებობის პირს აცნობოს ნებისმიერ ისეთ გარემოებასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა დაარღვიოს მისი მიუკერძოებლობა. მათ შორის, ინფორმაცია მის მიმართ მუქარის განხორციელების ან მატერიალური ან არამატერიალური სიკეთის შეთავაზების შესახებ;

3.2.5. არ შეარჩიოს, რომელ თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს გაუწევს სათარჯიმნო მომსახურებას;

3.2.6. არ გაუწიოს კონსულტაცია თავშესაფრის მაძიებელს ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირს;

3.2.7. არ განახორციელოს ისეთი სახის ქმედება, რაც არ უკავშირდება თარჯიმანს;

3.2.8. დაუყოვნებლოვ აცნობოს თავშესაფრის საკითხთა სამმართველოს უფროსს, თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.2.9. არ ჩაერთოს ზოგად/კერძო საუბარში თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საუბარი საჭიროა ენის ან/და დიალექტის დასადგენად);

3.2.10. არ დასვას გასაუბრებისას კითხვები ამა თუ იმ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კითხვის ფორმულირება შეთანხმებულია უფლებამოსილ თანამდებობის პირთან და მიზნად ისახავს თავშესაფრის მაძიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ ნათქვამის დაზუსტებას.

3.2.11. არ შევიდეს დისკუსიაში უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ან თავშესაფრის მაძიებელთან ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთან.

3.2.12. არ გაამჟღავნოს ემოციები, მათ შორის დაუმშვიდებელია გასაუბრებისას ისეთი ჟესტიკულაციის გამოყენება, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას პროცედურის ან პროცედურაში ჩართული პირების მიმართ.

4. თარჯიმნის ქცევის სტანდარტი

4.1. თარჯიმანმა თავისი ქმედებით არ უნდა მოახდინოს სამინისტროს დისკრედიტაცია.

4.2. თარჯიმანმა თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობისას არ უნდა ისარგებლოს მობილური ტელეფონით და არ გამოიყენოს სხვა საგნები, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ან/და ხელი შეუშალოს გასაუბრების პროცესის მიმდინარეობას.

4.3. თარჯიმანი დროულად უნდა გამოცხადდეს თავშესაფრის პროცედურაზე. იმ შემთხვევაში, თუ თარჯიმანი ვერ ახერხებს დანიშნულ დროზე თავშესაფრის პროცედურაზე გამოცხადებას, ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს.

5. თარჯიმნის კომპეტენცია და კვალიფიკაცია

თარჯიმანი ვალდებულია:

1. თარგმნისას ისაუბროს პირველ პირში, ამასთან ისაუბროს ნელა და გარკვევით;
2. კარგად ფლობდეს ქართულ და თავშესაფრის მამიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მშობლიურ/მისთვის გასაგებ ენას;
3. წინასწარ მოემზადოს გასაუბრების სავარაუდო თემატიკასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, თარგმნის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ან/და თარგმნის შეუძლებლობის შესახებ;
4. თარგმნისას გაითვალისწინოს თავშესაფრის მამიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ენობრივი მახასიათებლები;
5. იცნობდეს თავშესაფრის პროცედურის ტერმინოლოგიას;
6. აცნობოს სტატუსის დამდგენ სპეციალისტს გასაუბრების თარგმნისას წარმოშობილი სიმნელებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. დაუყოვნებლივ აცნობოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს თარგმნისას მის მიერ დაშვებული შეცდომის თაობაზე;
8. შეინარჩუნოს სიმშვიდე, განსაკუთრებით თუ ესმის არასასიამოვნო ან ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები;
9. ზუსტად და შეუცვლელად თარგმნოს თავშესაფრის მამიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის ნათქვამი, ასევე თარგმნისას გაითვალისწინოს ნათქვამის კონტექსტი;
10. არ გამოტოვოს რაიმე ინფორმაცია. თარჯიმნის ფუნქციებში არ შედის განსაზღვროს რა ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი და რა არა. თარჯიმნის მოვალეობაა შელამაზების გარეშე გადათარგმნოს ყველაფერი, რაც ითქვა თავშესაფრის მამიებლის ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიერ.

მე, _____ ვაცნობიერებ, რომ თარჯიმნის ქცევის წესებით განსაზღვრული პირობების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ჩემს მიმართ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

წავიკითხე და ვეთანხმები ქცევის წესებში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თარჯიმნის ხელმოწერა:

თარიღი:



დანართი №3

კონსულტაციის ჩატარების ოქმი

| | | |
|--|---|--|
| | კონსულტაციის დაწყების თარიღი და დრო: | |
| | კონსულტაციის მიმღები პირის მოქალაქეობა: | |
| | კონსულტაციის მიმღები პირი (სახელი და გვარი): | |
| | კონსულტაციის თემატიკა (მოთხოვნილი ინფორმაცია): | |
| | | |
| | უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გაწეული კონსულტაცია: | |
| | | |
| | კონსულტაციის დასრულების თარიღი და დრო: | |

კონსულტაციის მიმღები პირის ხელმოწერა:

/ _____

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა:

/ _____

თარჯიმნის ხელმოწერა:

/ _____



დანართი №4

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

გვარი -----
 სახელი -----
 მამის სახელი -----
 დაბადების თარიღი -----
 მოქალაქეობა/წარმოშობის ქვეყანა -----
 საქართველოში ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: -----

 ტელ.:-----

საერთაშორისო დაცვაზე განცხადება

გთხოვთ, მე (და ჩემი ოჯახის წევრებს):

| № | გვარი | სახელი | მამის სახელი | დაბ. თარიღი | ნათეს. კავშირი |
|---|-------|--------|--------------|-------------|----------------|
| | | | | | |

მომანიჭოთ/მოგვანიჭოთ საქართველოში ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი შემდეგი მიზეზების გამო:

გავეცანი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ თავშესაფრის პროცედურას და თანახმა ვარ, ჩემს განცხადებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები შესწავლილი და დამუშავებული იქნეს აღნიშნული კანონის შესაბამისად, ამავე კანონით დადგენილი პროცედურების განხორციელების მიზნით.

ხელმოწერა: -----

თარიღი: -----



დანართი №5

შეტყობინება
 თავშესაფრის მაძიებლისთვის

ანკეტირების პროცედურაზე გამოცხადების თაობაზე

ანკეტირების თარიღი -----

გთხოვთ, დანიშნული ანკეტირებისთვის წარმოადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია /ინფორმაცია:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
 2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);
 3. საქართველოში ფაქტობრივი საცხოვრებელი ზუსტი მისამართი;
 4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).
- გაცნობებთ, რომ ანკეტირებაზე 30 წუთზე მეტი დროით დაგვიანება გათანაბრებულია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობასთან.
- გაცნობებთ, რომ ანკეტირებაზე ან სტატუსის დადგენის გასაუბრებაზე არასაპატიო მიზეზით, ორჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თქვენი განცხადების განხილვა შეწყდება.

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა:

/ _____

თავშესაფრის მაძიებლის ხელმოწერა:

/ _____



დანართი №6

შეტყობინება

თავშესაფრის მაძიებლის მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერისთვის
ანკეტირების პროცედურაზე გამოცხადების თაობაზე

ანკეტირების თარიღი _____

ანკეტირების დაწყების დრო _____

გთხოვთ, დანიშნული ანკეტირებისთვის წარმოადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია /ინფორმაცია:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
 2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადებასთან დაკავშირებული სხვა სახის დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);
 3. საქართველოში ფაქტობრივი საცხოვრებელი ზუსტი მისამართი;
 4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).
- გაცნობებთ, რომ ანკეტირებაზე 30 წუთზე მეტი დროით დაგვიანება გათანაბრებულია არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობასთან.

გაცნობებთ, რომ ანკეტირებაზე ან სტატუსის დადგენის გასაუბრებაზე არასაკატიო მიზეზით, ორჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თქვენი განცხადების განხილვა შეწყდება.

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა:

/ _____

თავშესაფრის მაძიებლის მეურვე/მზრუნველი/მხარდამჭერის ხელმოწერა:

/ _____



დანართი №7

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

გვარი -----

სახელი -----

მამის სახელი -----

დაბადების თარიღი -----

მოქალაქეობა/წარმოშობის ქვეყანა -----

საქართველოში ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: -----

ტელ.:-----

**საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის თაობაზე
განცხადება**

გთხოვთ, შეწყვიტოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საერთაშორისო დაცვის მინიჭების თაობაზე ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების:

| № | გვარი | სახელი | მამის სახელი | დაბ. თარიღი | ნათეს. კავშირი |
|---|-------|--------|--------------|-------------|----------------|
| | | | | | |

საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვა შემდეგი მიზეზის გამო:

განმემარტა და სრულად ვაცნობიერებ საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის სამართლებრივ შედეგებს.

ხელმოწერა: -----

თარიღი: -----



დანართი №8

ოქმი
საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის
სამართლებრივი შედეგების თაობაზე

მე, ----- მოქალაქეს/მოქალაქეობის არმქონე პირს ----- (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი) მსურს საერთაშორისო დაცვაზე ჩემი განაცხადის გამოხმობა. ამასთან, ვადასტურებ, რომ განმემარტა საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის სამართლებრივი შედეგები:

1. განცხადების გამოხმობის საფუძველზე, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ ოქმის ხელმოწერიდან მე-7 სამუშაო დღეს.

2. საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის საფუძველზე, საერთაშორისო დაცვაზე განცხადების განხილვის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ვალდებული ვარ სამინისტროს ჩავაბარო დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დავტოვო ქვეყანა თუ არ არსებობს ჩემი საქართველოში ყოფნის სხვა სამართლებრივი საფუძველი.

3. ფუძველზე საქმისწარმოების შეწყვეტით გამოწვეულ შედეგებს.

ზემოაღნიშნულს ვადასტურებთ ხელმოწერით:

თავშესაფრის მაძიებლის ხელმოწერა:

/ _____

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა:

/ _____

თარჯიმნის ხელმოწერა:

/ _____

თარიღი:

/ _____



დანართი №9

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იმულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

გვარი -----

სახელი -----

მამის სახელი -----

დაბადების თარიღი: -----

მოქალაქეობა/წარმოშობის ქვეყანა -----

საქართველოში ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი: -----

ტელ.:-----

**საერთაშორისო დაცვაზე განცხადების გამოხმობის შემდეგ,
საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნის თაობაზე
განცხადება**

გაცნობებთ, რომ ჩემს მიერ საერთაშორისო დაცვაზე განცხადება გამოხმობილი იქნა შემდეგი
მიზეზით:

გთხოვთ, განმეორებით განიხილოთ ჩემი (და ჩემი ოჯახის წევრების):

| № | გვარი | სახელი | მამის სახელი | დაბ. თარიღი | ნათეს. კავშირი |
|---|-------|--------|--------------|-------------|----------------|
| | | | | | |

საერთაშორისო დაცვის განმეორებით მოთხოვნის განცხადება და მომანიჭოთ/მოგვანიჭოთ
საქართველოში საერთაშორისო დაცვა შემდეგი მიზეზების გამო:

გავეცანი „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ თავშესაფრის
პროცედურას და თანახმა ვარ, ჩემს განცხადებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები
შესწავლილი და დამუშავებული იქნეს აღნიშნული კანონის შესაბამისად, ამავე კანონით
დადგენილი პროცედურების განხორციელების მიზნით.

ხელმოწერა -----

თარიღი -----

დანართი №10

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 17 მაისის ბრძანება №902 - ვებგვერდი, 18.05.2017წ.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

თავშესაფრის მაძიებლის ანკეტა

თარიღი: -----

№ -----

| | | | |
|---|-------------------|---|--|
| ძირითადი მონაცემები: | | | |
| სახელი: | | გვარი: | |
| (ლათინურად) | | (ლათინურად) | |
| 3. მამის სახელი ან სხვა სახელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): | | | |
| 4. გაქვთ თუ არა შეცვლილი გვარი/სახელი/მამის სახელი? | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| 5. სახელი შეცვლამდე: | | 6. გვარი შეცვლამდე: | |
| 7. მამის სახელი/სხვა სახელი შეცვლამდე (არსებობის შემთხვევაში): | | | |
| 8. სქესი: <input type="checkbox"/> მამრობითი <input type="checkbox"/> მდედრობითი | | 9. ეროვნება (ები): | |
| 10. დაბადების თარიღი (დღე/თვე /წელი): --/--/---- (თუ უცნობია, მიუთითეთ სავარაუდო თარიღი): | | | |
| 11. დაბადების ადგილი (სოფელი/ქალაქი, რეგიონი, ქვეყანა): | | | |
| 12. ეთნიკური კუთვნილება: | | 13. რელიგია: | |
| 14. მოქალაქეობა/მუდმივი საცხოვრებელი ადგილი: | | 15. უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი/მისამართი წარმოშობის ქვეყანაში: | |
| 16. მამის სრული სახელი | დაბადების თარიღი: | მოქალაქეობა/საცხოვრებელი ადგილი: | თუ გარდაცვლილია, თარიღი |

| | | | |
|--|-------------------|----------------------------------|-------------------------|
| 17. დედის სრული სახელი: | დაბადების თარიღი: | მოქალაქეობა/საცხოვრებელი ადგილი: | თუ გარდაცვლილია, თარიღი |
| 18. ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში: | | | |
| 19. საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა: _____ ტელეფონი: _____ მობილური ტელეფონი: | | | |

| დოკუმენტაცია: | | | | | |
|---|----------------|------------------------|--------------|-----------------------|--|
| 20. რა საბუთებს ფლობთ: | | | | | |
| საბუთის სახე | საბუთის ნომერი | გაცემის თარიღი (დ/თ/წ) | ვადა (დ/თ/წ) | ადგილი/გამცემი ორგანო | წარმოდგენილ იქნა საბუთის ორიგინალი? |
| პირადობის მოწმობა | | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| პასპორტი | | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| სხვა: | | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| 21. თუ რომელიმე ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ იქნა გაცემული კანონიერად, გთხოვთ განმარტოთ, რა გზით იქნა ისინი მიღებული: | | | | | |
| 22. თუ თქვენ არ ფლობთ პირადობის დამადასტურებელ ან სხვა დოკუმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს საქმესთან, გთხოვთ განმარტოთ რატომ არ გაგაჩნიათ ეს დოკუმენტები: | | | | | |

| ინფორმაცია მგზავრობის შესახებ: | | | | |
|---|------------------------|----------------|-----------------------------------|---------------------------------|
| 23. როგორ დატოვეთ თქვენი წარმომავლის ქვეყანა: | | | | |
| N | სატრანსპორტო საშუალება | თარიღი (დ/თ/წ) | ადგილი/საზღვრის გადაკვეთის ადგილი | ქვეყნიდან გამოსვლის კანონიერება |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| 24. ტრანზიტული ქვეყნები: | | | | |

| N | ქვეყანა | ქალაქი | რა დროიდან (დ/თ/წ) | რა დრომდე (დ/თ/წ) | საზღვრის გადაკვეთის ადგილი | მგზავრობის მეთოდი |
|---|---------|--------|-----------------------|----------------------|-------------------------------|-------------------|
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |

25. ზემოაღნიშნულ ქვეყნებში თუ მიგიმართავთ თავშესაფრის მოთხოვნით (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის) მოთხოვნით? კი არა

დადებით შემთხვევაში მიუთითეთ: სახელმწიფო ორგანო გლუკი სხვა _____
განცხადების განხილვის შედეგი:

უარყოფით შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, სახელმწიფო სტრუქტურების ან გლუკისათვის არმიმართვის მიზეზი:

26. საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის ადგილი:

| N | სატრანსპორტო საშუალება | თარიღი (დ/თ/წ) | ადგილი | შემოსვლის კანონიერება |
|---|------------------------|----------------|--------|--------------------------|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

27. საქართველოს ვიზის გაცემის ადგილი და თარიღი:

28. მანამდე თუ ყოფილხართ საქართველოში? კი არა
დადებით შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ ვიზიტის თარიღი და ხანგრძლივობა:

ენების ფლობა:

29. რომელია თქვენი მშობლიური ენა?

30. რომელ ენებს ფლობთ?

| უცხო ენა | სრულყოფილად | კარგად | ცუდად | მითითებულთაგან რომელ ენაზე გირჩევნიათ ინტერვიუს ჩატარება? <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
|----------|-------------|--------|-------|---|
| | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |

განათლება:

31. სად სწავლობდით?

| დონე | სასწავლო დაწესებულების | მდებარეობა/ქვეყანა | რა დროიდან (დ/თ/წ) | რა დრომდე (დ/თ/წ) | სწავლების დასრულება |
|------|---------------------------|--------------------|-----------------------|----------------------|------------------------|
| | | | | | |

| | | | | | |
|-----------|------------|--|--|--|--|
| | დასახელება | | | | |
| დაწყებითი | | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| საშუალო | | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| უმაღლესი | | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |

სამხედრო სამსახური:

32. იყავით თუ არა გაწვეული სამხედრო სამსახურში? კი არა
დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ:

| სამხედრო სამსახურის სახე | წოდება | დასაწყისი (დ/თ/წ) | დასასრული (დ/თ/წ) | სამხედრო დანაყოფი | ადგილი |
|--------------------------|--------|-------------------|-------------------|-------------------|--------|
| სავალდებულო | | | | | |
| საკონტრაქტო | | | | | |
| ალტერნატიული | | | | | |
| სხვა | | | | | |

33. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა სამხედრო შეტაკებებში? კი არა
დადებით შემთხვევაში: სად და როდის?

34. გითანამშრომლიათ თუ არა რომელიმე ქვეყნის უშიშროების სამსახურთან? კი არა
დადებით შემთხვევაში დააკონკრეტეთ:

პოლიტიკური შეხედულებები:

35. ხართ/იყავით თუ არა რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის ან პარტიის წევრი (დამხმარე, მხარდამჭერი, მეგობარი, ასოცირებული წევრი)? კი არა დადებით შემთხვევაში მიუთითეთ:

| პარტიის/ ორგანიზაციის სრული სახელწოდება | ადგილი/ ქვეყანა | დასაწყისი (დ/თ/წ) | დასასრული (დ/თ/წ) | თანამდებობა | ფუნქციები |
|---|-----------------|-------------------|-------------------|-------------|-----------|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

ნასამართლობა, პატიმრობა, დაკავება, ძებნა, ა.შ.:

36. იძებნებოდა თუ არა პოლიციის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულისათვის? კი არა
დადებით შემთხვევაში მიუთითეთ:

| | | | |
|--|-------|-------------------------------------|--|
| დანაშაულის სახე/მოკლე აღწერა: | როდის | ორგანიზაცია/მეზნის განმხორციელებელი | |
| | | | |
| 37. იყავით თუ არა დაკავებული? <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა დადებით შემთხვევაში მიუთითეთ: | | | |
| დანაშაულის სახე/მოკლე აღწერა: | როდის | საფუძველი | კანონიერება |
| | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| 38. ხართ თუ არა ნასამართლები? <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა დადებით შემთხვევაში მიუთითეთ: | | | |
| დანაშაულის სახე/მოკლე აღწერა: | როდის | ორგანიზაცია/მეზნის განმხორციელებელი | |
| | | | |
| | | | |
| 39. იმყოფებით თუ არა პატიმრობაში? <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა დადებით შემთხვევაში მიუთითეთ: | | | |
| დანაშაულის სახე/მოკლე აღწერა: | როდის | საფუძველი | კანონიერება |
| | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |

| | | | | |
|---------------------|-------------------|-------------|------------------------------------|--|
| შრომითი საქმიანობა: | | | | |
| 40. სად მუშაობდით? | | | | |
| დასაწყისი (დ/თ/წ) | დასასრული (დ/თ/წ) | თანამდებობა | დაწესებულების დასახელება და ადგილი | იყავით თუ არა გათავისუფლებული? |
| | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |
| | | | | <input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა |

| | |
|--|--|
| ჯანმრთელობის მდგომარეობა/სპეციალური საჭიროება: | |
| 41. ჯანმრთელობის მდგომარეობა/შეზღუდული შესაძლებლობა: | |
| 42. სხვა სპეციალური საჭიროება: <input type="checkbox"/> მარტოხელა მშობელი/ავადმყოფის პატრონი <input type="checkbox"/> მოხუცებული <input type="checkbox"/> რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი <input type="checkbox"/> რისკის ქვეშ მყოფი ქალი <input type="checkbox"/> წამების მსხვერპლი <input type="checkbox"/> ოჯახური ძალადობის მსხვერპლი <input type="checkbox"/> სხვა (დააკონკრეტეთ) _____ | |

ოჯახური მდგომარეობა:

43. თქვენ ხართ დასაოჯახებელი დაოჯახებული
 დანიშნული გაშორებული განქორწინებული ქვრივი

თუ დაოჯახებული ხართ, ქორწინება არის:
 კანონიერი სამოქალაქო რელიგიური

განქორწინება:
